ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

საპატრიარქოში ფულს პატიმართა შეწყალებაზე აკეთებენ?

ოხანაშვილის სკანდალური ჩვენება

გვ.3

10 ოქტომბრიდან ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ორშაბათი, 16 ოქტომბერი, 2017 №245 (7479) ფასი: 50 თეთრი

„ქართული ოცნება“ კალაძეს საბოტაჟს უწყობს“

გია ხუხაშვილი: „მაღალი ლეგიტიმაციით არჩევის შემთხვევაში, მის გარშემო შესაძლოა ალტერნატიული ძალის ცენტრი ჩამოყალიბდეს“

გვ.5

კახა კალაძე: „ნაციონალები მარგინალები არიან“

გვ.3

„რუს ფაროსანას თბილისს არ დავუთმობთ“

ნაციონალებმა ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან გამაფრთხილებელი აქცია გამართეს

გვ.2

კონსტანტინე გამსახურდია: „ვცდილობთ, შევაკავოთ ხელისუფლება, რომელიც თავისი გზით მიერეკება“

გვ.3

სამართალი გვ.7

ლაშა კურტანიძე პრეზიდენტმა შეიწყალა, ლევან როსტოშვილი ისევ ზის

საზღვრის უკანონოდ დარღვევისთვის ბანგლადეშის 6 მოქალაქე დააკავეს

ადვოკატი ჩერქეზია: „გორგიას“ დირექტორ გია გორგოშაძესა და ნინო დარსალიას შორის ფულადი გაუგებრობა არსებობდა

ეკონომიკა გვ.6

კომისიამ „მაგთიკომი“, „ბილაინი“ და „ჯეოსელი“ წერილობით გააფრთხილა

საქართველოში შემოსვლას 25-მდე ავიაკომპანია აპირებს

„მიწის გაყიდვაზე მორატორიუმმა ინვესტიციები არ გაზარდა“

ISSN 1987-9385

5 იუსტიციის მინისტრის ხელფასი თვეში 3.540 ლარია, მძღოლის — 790

7 პოლიციამ ქართულ ინტერნეტსივრცეში ონლაინთამაში „ლურჯი ვეშაპი“ ვერ იპოვა

4 „იოსებ ოსორაულის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დაზუსტება ვერ ხერხდება“

7 ზუგდიდში ახალგაზრდა ქალი მე-5 სართულიდან გადავარდა — „შველას ითხოვდა, ალბათ იყო ჩაბღაუჭებული“

„რუს ფაროსანას თბილისს არ დავუთმობთ“

ნაციონალებმა ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან გამაფრთხილებელი აქცია გამართეს

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალურმა მოძრაობამ გუშინ, 15 ოქტომბერს, ბიძინა ივანიშვილს სოლოლაკში ააკითხა. არადა, თავდაპირველი ინფორმაციით, მათ საივანიშვილოდ გამზადებულ პუშკინის სკვერში უნდა გაემართათ აქცია.
როგორც ნაციონალებმა განმარტეს, აქცია პუშკინის სკვერშიც გაიმართება. მანამდე მათ მიზანშეწონილად ჩათვალეს ყოფილი პრემიერის გაფრთხილება.



აქცია, დაპირებისამებრ, რუსთაველის მეტროდან დაიწყო. ნაციონალებს გზაში არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილიც შეუერთდა. სოლოლაკისკენ მიმავალ გზას ყოფილ ხელისუფლებასთან ერთად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც დაადგნენ.

პარტიის ლიდერ ბაჩუკი ქარდავას აზრით, 15 ოქტომბრის აქციაში მთელ თბილისს უნდა მიეღო მონაწილეობა.

– ყველა თბილისელის ვალია, დაიცვას დედაქალაქი და ერთი ადამიანის კერძო ყანად არ აქციოს თბილისი, – განაცხადა ნაციონალებთან ერთად მიმავალმა ქარდავამ.

მისი თქმით, შორს აღარ არის ის დრო, როცა ქუჩაში მთელი თბილისი გამოვა.

– ეს იქნება დასაწყისი და დადგება დრო, როცა არა მხოლოდ პოლიტიკოსები და პარტიული აქტივისტები გააპროტესტებენ, თუნდაც მრავალრიცხოვანი აქციებით, არამედ ორჯერ, სამჯერ, ათჯერ მეტი თბილისელი გამოვა ქუჩაში, – აღნიშნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა.

ნაციონალების აქციაში რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობდა. აქციის ორგანიზატორებს გაცილებით მრავალრიცხოვანი მსვლელობა სურდათ, მაგრამ არც ამ ციფრით იყვნენ უკმაყოფილო.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ბიძინა ივანიშვილს ყოველდღიურ აქციებს ჰპირდება.

– აქციები ყოველდღე გაიმართება და იქამდე გაგრძელდება, სანამ ბიძინა ივანიშვილი უკანონო ქმედებებს არ შეეშვება.

ჩვენ ვაფრთხილებდით ივანიშვილს, რომ ამ საკითხის გარშემო საპროტესტო მუხტი არათუ მინელდება, არამედ გაღვივდება, – აღნიშნა ნიკა მელიამ.

პარტიის თბილისის მერობის კანდიდატი ზაალ უდუმაშვილიც დარწმუნებულია, რომ თბილისელები „ოცნების“ უკანონო ქმედებებს არ შეეგუებიან.

– თბილისის საკრებულოს უმრავლესობაში არის 30 ადამიანი, აქციაზე კი ათიათასობით ადამიანია მისული და სწორედ ეს ნიშნავს, რომ ხალხი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, – აღნიშნა უდუმაშვილმა.

მისი თქმით, 15 ოქტომბერს დაწყებული საპროტესტო აქცია ივანიშვილისთვის პუშკინის სკვერის ჩამორთმევას ისახავს მიზნად.

– ჩვენი მთავარი მიზანია, ბიძინა ივანიშვილს ჩამოვართვათ ის ავტოფარეხი, რომელიც საკრებულომ დაუკანონა. უნდა შეჩერდეს თბილისის დაცინვა.

თბილისი დაანახებს ბიძინა ივანიშვილს, რომ მას გააჩნია თავმოყვარეობა და არ დათმობს მის ტერიტორიებს ვიღაცის კერძო ავტოფარეხად გადასაკეთებლად, – იმედოვნებს ნაციონალების მერობის კანდიდატი.

მართალია, ეს აქცია პუშკინის სკვერის დაცვას ისახავდა მიზნად, მაგრამ ყოფილმა ხელისუფლებამ სხვა მოთხოვნებიც წამოაყენა.

ამ კვირაში საქართველოში თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. ნაციონალები ვარაუდობენ, რომ ივანიშვილი არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება.

ნიკა მელია აცხადებს, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ივანიშვილის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები დაიწყება.

– ხელი არ წაგიცდეთ, ბატონო ბიძინა, გაყალბებისკენ, თორემ არა კვირიკაშვილთან ან საკრებულოსთან, არამედ პირდაპირ აქ მოვალთ და მასშტაბურ აქციას გავმართავთ, – გააფრთხილა მელიამ ყოფილი პრემიერი.

ივანიშვილის გარდა, მელიამ კახა კალაძეც გააფრთხილა და მისი მისამართით შემდეგი სახის განცხადება გააკეთა:

– არც თბილისში და არც დანარჩენ საქართველოში მას არჩევნების გაყალბების და ხმების მოპარვის საშუალებას არ მივცემთ.

ნაციონალებმა ივანიშვილს ახალი სახელიც შეურჩიეს და მას ქვეყნის მთავარი ფაროსანა უწოდეს.

ყოფილი დეპუტატ მეგი გოცირიძის აზრით, ნაციონალურმა მოძრაობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა აქცია ყოფილი პრემიერის რეზიდენციასთან გამართა.

– ბიძინა ივანიშვილი არის მთავარი მავნებელი. დიახ, ჩვენ სწორედ რუსი ფაროსანას სახლთან უნდა გაგვემართა აქცია. ამ ადამიანმა უნდა დაინახოს, რომ თბილისელები მას ქალაქის დაპატრონების უფლებას არ მისცემენ.

ამ ქალაქის დაცვას უამრავი ადამიანი შეეწირა. იმათ იმისთვის არ უბრძოლიათ, რომ ივანიშვილმა თბილისი დაიკანონოს. დაითრია ტერიტორიები, სადაც გოლფის მოედნებს აწყობს. ახლა არავინ მითხრას, რომ ამას თბილისელებისთვის აკეთებს. ამას აკეთებს იმიტომ, რომ მისმა შვილმა აქ ვიღაც სხვა მილიარდერის შვილი ჩამოიყვანოს და იმასთან იმარიაჟოს ამ მოედნით, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში გოცირიძე.

მისი თქმით, ივანიშვილმა ისედაც საკმარისზე მეტი რაოდენობით მიიტაცა ქართული მიწები.

– რუსი ფაროსანა ქართულ მიწებს ომის გარეშე ეპატრონება. ამაში მას თავისი მონები ეხმარებიან. ისინი მზად არიან, მთელი საქართველო მასზე გადააფორმონ. ამ ადამიანს იმაზე მეტი ტერიტორიები აქვს დასაკუთრებული, ვიდრე რუსეთს – ოკუპირებული. ასე თუ გაგრძელდა, მთელი საქართველო რუსების ხელში აღმოჩნდება. ჩემთვის ივანიშვილსა და პუტინს შორის დიდი სხვაობა არა არის, – აღნიშნავს ყოფილი დეპუტატი.

გოცირიძის განცხადებით, თავის დროზე საზოგადოებას სამოქალაქო თვითშეგნება რომ გამოევლინა, ხელისუფლება ამდენს ვერ გაბედავდა.

– ჩვენ ხომ არაფერზე ვრეაგირებთ. მშვიდად ვუყურებდით, როგორ გადათხარა მთელი აჭარა. არ შევიმჩნიეთ, როცა მისი ხუშტურების ასასრულებლად თბილისში ათასობით ხეები მოჭრეს. არაფერი ვთქვით, როცა ნარმანიამ დაპირებული მილიონი ხის დარგვის ნაცვლად მილიონი ხე მოჭრა. დღეს თბილისი ფილტვების გარეშეა დარჩენილი. ხალხი ვეღარ სუნთქავს, მაგრამ ამას ატარებს.

ამ ყველაფერზე ხმა რომ ამოეღოთ, ქვეყნის მთავარი ფაროსანა ქალაქის ცენტრის მითვისებას ვერ გაბედავდა. რაც გვჭირს, ეს საკუთარ თავსაც უნდა დავაბრალოთ, – აცხადებს გოცირიძე.

ის დარწმუნებულია, რომ ამ ამბების შემდეგ საზოგადოება უფრო გამოფხიზლდება. მისი აზრით, გამართლებულია, რომ ნაციონალებმა არჩევნების გაყალბებასთან გააკეთეს განცხადება.

– აქცია პუშკინის სკვერის დასაცავად გავმართეთ, მაგრამ გავაგრძელეთ არჩევნების შესაძლო გაყალბების თემით. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი ამისთვის ემზადებიან. გაყალბების გარეშე ისინი ვერც საკრებულოში ვერ შეადგამენ ფეხს და ვერც ივანიშვილს აჩუქებენ ლარად მილიონიან ქონებას.

აქედან გამომდინარე, რუსი ოლიგარქი გაყალბებით დაინტერესებულია, ამიტომაც მიიღო გაფრთხილება. თავის დროზე შევარდნაძესაც ეგონა, რომ გაყალბება შერჩებოდა, მაგრამ ეს რითაც დამთავრდა, ყველამ ნახა 2003 წელს. ახლაც იგივე გამეორდება, – აცხადებს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

მისივე თქმით, „ოცნება“ არჩევნების გაყალბების სამზადისს უკვე შეუდგა.

– მინდა ყველამ შეიგნოს, რომ არჩევნებს არჩევნების დღეს არ აყალბებენ. არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებულია. სულ ამომრჩევლების სიებზე ჰქონდათ წივილ-კივილი. ეს სიები არც ახლა არ არის წესრიგში. არჩევნებში შარშან არარსებულ კორპუსებს მიაღებინეს მონაწილეობა.

სიების გარდა, სერიოზული პრობლემებია აიდი ბარათებშიც. უამრავი ყალბი აიდი ბარათია დაბეჭდილი. „ოცნება“ სომხური კარუსელისთვის ემზადება, რაც მას ძალიან ძვირი დაუჯდება. ხალხი უკვე ზღვარზეა და ამათი თავგასულობა ყელში აქვს ამოსული. იმდენს იზამენ, რევოლუციას მიიღებენ. ამის გაკეთება შარშანაც შეიძლებოდა, მაგრამ მოღალატეებმა, რომლებსაც ახლა „ევროპული საქართველო“ ჰქვია, ხელი შეგვიშალეს, – ამბობს მეგი გოცირიძე.

ის ამტკიცებს, რომ მათ, სულ მცირე, ნახევარი მილიონი მომხრე ჰყავთ, 15 ოქტომბრის აქციაზე კი სულ რაღაც 5.000 კაცი გამოვიდა.

ყოფილი დეპუტატის თქმით, ამან ხელისუფლება არ უნდა დაამშვიდოს. ის „ოცნებას“ შემდეგ რჩევას აძლევს:

– შეუშვან ამ ქოცებმა უტვინო თავებში, რომ 5.000 მოტივირებული კაცი ნახევარ მილიონ არამოტივირებულ მონას სჯობია. არც 2003 წელს ვიყავით უმრავლესობაში, მაგრამ შემდეგ ყველა ჩვენ გვერდით დადგა. ახლაც ასე იქნება და ჩემი რჩევაა, გაყალბებაზე არ იფიქრონ.

მეგი გოცირიძის თქმით, ამ აქციაზე დასწრების სურვილი რეგიონების მოსახლეობასაც ჰქონდა, მაგრამ ბოლოს პროტესტი მაინც თბილისელებმა გამოხატეს.

– ახლა თბილისელებს ართმევს ფაროსანა მიწებს. ახლა თბილისს უნდა გამოეთქვა პროტესტი. მთელი საქართველო მოგვიანებით გამოვა, – ასეთია გოცირიძის პროგნოზი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კონსტანტინე გამსახურდია: „ვცდილობთ, შევაკავოთ ხელისუფლება, რომელიც თავისი გზით მიერეკება“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კონსტანტინე, ლიდერთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში თქვენც ხართ, ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს 21 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით. არჩევნების შედეგებს რამდენად აღიარებს არასაპარლამენტო ოპოზიცია?

– მე ვფიქრობ, რომ მოვლენები კონფრონტაციის რეჟიმში განვითარდება. ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ასე მინდა მოხდეს, რასაკვირველია, ეს არავის უნდა, ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი სამშობლოა, მაგრამ, როდესაც შენი ნებისმიერი აზრი იგნორირებულია და ხელისუფლება თავისი გზით მიერეკება, მაშინ შენ რაღაცნაირად უნდა შეძლო, მუხრუჭის ფუნქცია შეასრულო. ხელისუფლება შეეცდება, ლელო გაიტანოს ყველა მიმართულებით. მათ მოირგეს კონსტიტუცია, მოირგეს სისტემა და ახლა შეეცდებიან, დედაქალაქი მოირგონ.

– მაგრამ ხალხმა თუ კალაძეს მისცა ხმა?

– თუ ეს ბრძოლა იქნება სამართლიანი, სრულიად თავისუფალი და დემოკრატიული, კი ბატონო, მაგრამ წინა გამოცდილება, მაგალითად, მარნეულის, ზუგდიდის გამოცდილება ამის ნაკლებ შესაძლებლობას ტოვებს. ჩვენ უკვე ერთხელ ვნახეთ ის მავნე პრაქტიკა, ნაციონალური მოძრაობის დროს როგორ აიძულებდა სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს ვალდებულებას პარტიის წინაშე. ეს მავნე პრაქტიკა, რომელიც ასე მოდის საბჭოთა დროიდან, ვერა და ვერ ჩაბარდა წარსულს. ეს ადამიანები, სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულები, სახელმწიფოს ემსახურებიან და არა პარტიას. რა საჭიროა ეს ყველაფერი, თუ მაგარი ბიჭი ხარ, რაში გჭირდება ვიღაცის იძულება და მობილიზება?! ეს ყველაფერი ძაბავს ურთიერთობას, აფერხებს ქვეყნის წინსვლის შესაძლებლობას, რაზეც ძალიან მწყდება გული.

ოპოზიციას დღეს სხვა გზა არ რჩება, ამიტომ ის იქნება ხმაურიანი. როგორც ჩანს, ყველა გზა მოჭრილია. ამას არჩევნების შედეგებიდანაც ვნახავთ.

– არასაპარლამენტო ოპოზიციამ ლიდერთა საბჭოს შექმნით საკუთარი თავის რეანიმირება მოახდინა თუ წინასაარჩევნოდ მართლაც აპირებს ხმაურს?

– შევარდნაძის, სააკაშვილის, ივანიშვილის პირობებში ნებისმიერ ოპოზიციას ცუდად წაუვა საქმე. ოპოზიცია ცდილობს, შეაკავოს ის პროცესები, რომლებიც არ არის დემოკრატიული, რომელიც ხელს არ უწყობს ჩვენი ქვეყნის განვითარებას, თუნდაც ერთპარტიული კონსტიტუციის მიღება ამის ნათელი მაგალითია.

– პრობლემა იქნებ თავად ოპოზიციაშია?

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ სისტემა არაფერ შუაშია?! არაფერ შუაშია თუნდაც ის, რომ ხელისუფლებამ მისცა ხალხს დაპირება, რომ საარჩევნო სისტემას შეცვლიდა, მაგრამ არ შეცვალა და იგივე დატოვა. რა დროს შერეული საარჩევნო სისტემაა?! ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მოხდა კომუნისტურ პარტიასთან შეთანხმება. მაშინ მართლაც იყო ეს სისტემა ნოვატორული, მაგრამ ახლა, 21-ე საუკუნეში, რა დროს შერეული მოდელია.

ეს არის ხალხის მოტყუება და თვალებში ნაცრის შეყრა, როდესაც გვეუბნებიან, რომ რა ვქნათ, გუნდის შიგნით ვერ მივაღწიეთ კონსენსუსს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მოვა ხელისუფლება და შეცვლის ამ საარჩევნო სისტემას.

– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ თბილისის მერის არჩევნებში მეორე ტური იქნება.

– იქნება?! ეჭვი მეპარება, მიჭირს ამის თქმა. ხელისუფლება ეცდება, პირველივე ტურში დაამთავროს ყველაფერი. პირადად არ ვმონაწილეობ დედაქალაქის მერის არჩევნებში, თუმცა ჩემი პარტია იღებს საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობას და ძალიან აქტიურადაც ვართ ჩართული. რაც შეეხება მეორე ტურს, რასაკვირველია, მე მივესალმები მოვლენების ასეთ განვითარებას. მეორე ტური არის დემოკრატიის გარკვეული ნიშანი. ევროპის ბევრ ქვეყანაში მეორე ტურით ვლინდება ხოლმე გამარჯვებული.

როგორ განვითარდება ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენები, ეს პირდაპირ დამოკიდებული იქნება 21 ოქტომბრის არჩევნებზე და იქ განვითარებულ პროცესებზე.

მაჟორიტარობის კანდიდატი ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის კრწანისის მაჟორიტარობის კანდიდატი ხელისუფლებას უყურადღებობასა და ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

თამარ ბოყოველის თქმით, პარტიის რამდენიმე წევრი უკვე 28-ე დღეა პარლამენტის შენობის წინ შიმშილობს და არცერთი დეპუტატი მათთან შესახვედრად არ გამოსულა და არ დაინტერესებულა, რას აპროტესტებენ მოქალაქეები.

რაც შეეხება მოშიმშილეებს, ათამდე მოქალაქე უკვე 28-ე დღეა რამდენიმე პუნქტს, მათ შორის კონსტიტუციის მიღებას, მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვას და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთებს აპროტესტებს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საპატრიარქოში ფულს პატიმართა შეწყალებაზე აკეთებენ?

ოხანაშვილის სკანდალური ჩვენება

პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი ე.წ. ციანიდის საქმეზე მიცემულ ჩვენებაში პატიმართა შეწყალების საქმეებში ილია მეორის მდივან-რეფერენტის გავლენების შესახებ საუბრობს.

ჩანაწერში, რომელიც კურიერმა მოიპოვა, სოსო ოხანაშვილი საუბრობს იმაზე, რომ კონკრეტული პირები საპატრიარქოში შესაწყალებელ პატიმართა სიის შედგენაში, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მონაწილეობდნენ. ის სქემის სათავეში შორენა თეთრუაშვილს ასახელებს. ოხანაშვილი ამავე ჩვენებაში ეკა ბესელიას, ირმა ჭკადუას და ნანა კაკაბაძეს ახსენებს.

სკანდალური ჩვენების არცერთი ადრესატი, რომლებიც სოსო ოხანაშვილმა კორუფციაში დაადანაშაულა, ბრალდებებს არ აღიარებს.

ირმა ჭკადუამ, როდესაც სიუჟეტის მომზადების შესახებ შეიტყო, პროკურატურას ჟურნალისტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსთხოვა. ადვოკატმა კურიერს მასთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გავრცელებაც აუკრძალა.

საპატრიარქოში შექმნილი შეწყალების კომისიის ზუსტი ფუნქციები უცნობია შეწყალების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელ ზვიად ქორიძისთვის.

სასამართლოს სხდომების ოქმებიდან ირკვევა, რომ ილია მეორის მდივან-რეფერენტი ხელს საპატრიარქოს იმ დოკუმენტებზე აწერს, რაც მის უფლებამოსილებას სცილდება.

კურიერმა დეკანოზ მამალაძის საქმიდან ორი დოკუმენტი მოიპოვა. ხელმომწერი ორივე შემთხვევაში მიქაელ ბოტკოველია, თუმცა ერთ დოკუმენტს ბოტკოველის ნაცვლად ხელს თეთრუაშვილი აწერს, რის უფლებაც მას არ აქვს. სასამართლოს სხდომაზე პატრიარქის მდივან-რეფერენტმა ხელმოწერის ნამდვილობა აღიარა.

რუსთავი 2

კახა კალაძე: „ნაციონალები მარგინალები არიან“

გუშინ, 15 ოქტომბერს, კახა კალაძე ამომრჩეველთან შეხვედრის დროს ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქციას გამოეხმაურა.

მან ნაციონალურ მოძრაობას მარგინალები და გაკოტრებული პოლიტიკური პარტია უწოდა და თქვა, რომ ეს პარტია მიზანმიმართულად ცდილობს ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციას და ებრძვის ქალაქის წინსვლას.

– არავის მივცემთ იმის ფუფუნებას, იმის შესაძლებლობას, რომ ეკონომიკური განვითარების გზაზე მდგარ ქვეყანას ხელი შეუშალონ. ეს არის უნიჭო შოუ, მომზადებული მათი მხრიდან. არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ. რეგიონებიდან ჩამოიყვანეს ხალხი ავტობუსებით და დაახლოებით 3.000 კაცამდეც კი ვერ შეიკრიბნენ, – განაცხადა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა კახი კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საკრებულოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ კომპანიას პუშკინის სკვერისა და თაბორის მთის მიმდებარედ მიწის ფართობები 1 ლარად გადაეცა, ნაციონალურმა მოძრაობამ საპროტესტო მსვლელობით გააპროტესტა.

მსვლელობა რუსთაველის მეტროს ტერიტორიიდან დაიწყო და ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან დასრულდა.

კობა ნაყოფია უკრაინაში არ შეუშვეს

საქართველოს პარლამენტის წევრი კობა ნაყოფია ბორისპოლის აეროპორტში საზღვარზე გააჩერეს და უკრაინის ტერიტორიაზე არ შეუშვეს.

მას განუმარტეს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალება, თუმცა მიზეზები არ დაუკონკრეტებიათ.

კობა ნაყოფია ბორისპოლის აეროპორტის სატრანზიტო ზონაში დარჩა. ვითარების გასარკვევად აეროპორტში კობა ნაყოფიას ადვოკატები და რადას დეპუტატები მივიდნენ.

პირველი რადიო

პატრიოტთა ალიანსმა ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით ბათუმში აქცია გამართა

მთავრობის გადადგომის მოთხოვნით პატრიოტთა ალიანსმა 15 ოქტომბერს საპროტესტო აქცია ბათუმში, ევროპის მოედანზე გამართა.

აქციაზე პატრიოტთა ალიანსის ლიდერებმა მოსკოვთან, სოხუმთან და ცხინვალთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობაზეც ისაუბრეს.

– ეს არ არის წინასაარჩევნო აქცია, ეს არის აქცია ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, აქ უფრო მეტი ხალხი მოგროვდა, ვიდრე დღეს თბილისში „ნაციონალების“ აქციაზე. რამდენიმე დღეში აქციები ყოველდღიურ ხასიათს მიიღებს. გრანდიოზული აქციაა დაგეგმილი 29 ოქტომბერს და ეს გაგრძელდება, ვიდრე ხელისუფლება არ წავა სახლში, – განაცხადა დავით თარხან-მოურავმა.

პირველი რადიო

სოსო შატბერაშვილი: „ოპოზიცია ხალხს ვერ გამოიყვანს“

მარიამ მჭედლიშვილი

„საკრებულოსა და მერიის გარშემო განვითარებული მოვლენებით „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო“

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ მემარცხენე ალიანსის თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს ესაუბრა.

– პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია და ქვეყანა იცხოვრებს იმ კონსტიტუციით, რომელიც ამდენ დავას იწვევს. როგორ ფიქრობთ, პარტიები, რომლებიც კონსტიტუციის გამო ქუჩის გამოსვლებით იმუქრებოდნენ, შეეგუებიან მომხდარს და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მოემზადებიან?

– სანამ პარტიებზე გიპასუხებთ, ვეტოზე გავამახვილებ ყურადღებას. ვეტოს გამოცხადება და დაძლევა საქართველოში ბოლო დროს ჩვეულებრივ ამბად იქცა. პრეზიდენტმა იცის, რომ მისი ვეტო დაიძლევა, მაგრამ ამ ვეტოს მაინც აცხადებს. ეს უკვე მასხარაობას დაემსგავსა. ვეტოს აზრი აქვს მაშინ, თუ ის კანონის მოქმედებას შეაჩერებს მის შეცვლამდე. გიორგი მარგველაშვილის ვეტოზე დიდი ხანია, ანეკდოტები დადის. იმ პარტიების შესაძლებლობები, რომლებიც ხალხის გამოყვანით იმუქრებიან, ბოლო დროს რამდენჯერმე ვიხილეთ.

– ამ ოპოზიციონერებს ხალხი ვერ გამოჰყავთ?

– ვერ გამოჰყავთ. ოპოზიცია ხალხს ვერც მერე გამოიყვანს. ნაცმოძრაობა და მისგან გამოყოფილი ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია თბილისის საკრებულოს შტურმსაც შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. ნაცმოძრაობას საზოგადოება არ აჰყვა. საკრებულომ კი, მისი შენობის გარეთ მიმდინარე წივილ-კივილის მიუხედავად, მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებსაც ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ეწინააღმდეგებოდა. ეგრეთ წოდებულს ვუწოდებ იმ ოპოზიციას, რომელიც საკუთარი მოქალაქეების სისხლშია გასვრილი. მნიშვნელობა არა აქვს, მას ნაციონალური მოძრაობა ჰქვია, გირჩი თუ ევროპული საქართველო.

– სხვა ოპოზიციაც სუსტია?

– სუსტია, იმიტომ რომ არ გამოჩნდა გამაერთიანებელი ძალა, რომელიც ხალხს იმედს ჩაუსახავდა. დღევანდელი საპროტესტო გამოსვლები მცირერიცხოვანია. 2007 წლის 2 ნოემბერს საპროტესტოდ 100 ათასზე მეტი კაცი იყო გამოსული, იპოდრომზე – ამაზე მეტი. ოპოზიციაში, რომელიც, ერთი შეხედვით, ერთად დგას, არ არის ერთსულოვნება.

– რომელ საკითხებში?

– ოპოზიციის შიგნით კინკლაობაა იმაზე, პროპორციული უნდა იყოს არჩევნები თუ რეგიონულ-პროპორციული. ამ ხალხმა იმდენად მოაბეზრა თავი ვენეციის კომისიასა და ჯანი ბუკიკიოს, რომ ბოლოს იგი მმართველი პარტიის მხარეს დადგა. არადა, წესითა და რიგით, ბუკიკიოს ოპოზიციის შეხედულებები უნდა გაეზიარებინა. მან დანანებით აღნიშნა, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმება კონსტიტუციაზე. ამაში ის ოპოზიციას ადანაშაულებს.

მაია ნადირაძის ფრაზა, ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და რასაც გვინდა, იმას მივიღებთო, ახლაც აქტუალურია. საუბედუროდ, სხვებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ. ოპოზიცია იმას ამბობს, რომ ის შეცვლის კონსტიტუციას, როცა ხელისუფლებაში მოვა. ჩვენი საარჩევნო მოთხოვნები ისევ ძალაშია, მაგრამ პარტიები იძულებული ვართ, 2020 წლის არჩევნებისათვის მოვემზადოთ ახალი წესებით, მანამდე გაუქმებული საარჩევნო ბლოკების დაშვებითა და 3%-იანი ბარიერით. ეს ორივე ნორმა ერთჯერადად იმოქმედებს.

– ექნება ოპოზიციას ამ წესებით გამარჯვების შანსი?

– სააკაშვილმა კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგო. 2012 წელს მოქმედებდა საზიზღარი კონსტიტუცია და ცუდი საარჩევნო გარემო, მაგრამ მაშინ შექმნილმა ახალმა კოალიციამ მოახერხა ხელისუფლების შეცვლა. თუ ჩვენ გავერთიანდებით და ხალხის დარწმუნებასაც შევძლებთ, ხელისუფლების ცვლილება რეალურია.

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ დამაჯერებელი მეორე ადგილი მოიპოვა. ადგილობრივი არჩევნების წინ ნაცმოძრაობა იმავე პოზიციაზეა?

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაცმოძრაობა დაიშალა. გარდა ამისა, ნებისმიერ შემთხვევაში დრო მუშაობს ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ეს გრძელდება 2012 წლიდან. 2016 წლის არჩევნებზე ამ პარტიამ მიიღო ნახევარი მილიონი ხმა „ქართული ოცნების“ მიმართ უკმაყოფილების ზრდის გამო. ხალხის ნაწილმა ვერ დაინახა მისაღები ძლიერი ძალა და ხმა ნაცმოძრაობას მისცა. ამის გამოა, რომ სულ გაერთიანებისკენ მოწოდებაში ვარ. დედაქალაქის მერობის ერთიანი კანდიდატის წამოყენებისკენაც მოვუწოდებდი ჯანსაღ ოპოზიციას, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. ახლა მერობის ბევრი კანდიდატია და საბანს ყველა თავისკენ ექაჩება.

– მერიისა და საკრებულოს გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა რა შეცვალა? ვის რა არგო და ავნო ამ პროცესებმა?

– ამ მოვლენებმა სარგებლობა მოუტანა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“. მერობის ძლიერი დამოუკიდებელი კანდიდატი, ალესო ელისაშვილი, ამით ჩახსნეს.

– გინდათ თქვათ, რომ ამით ნაცმოძრაობის რეიტინგი გაიზარდა?

– ასე გამოდის. ამ ამბებამდე ელისაშვილი კალაძის შემდეგ მეორე ადგილზე იყო 25%-იანი რეიტინგით. ამის შემდეგ ელისაშვილის რეიტინგმა ათი პუნქტით დაიწია. ნაცმოძრაობამ შოუ და გაწევ-გაწევა გამართა ივანიშვილის „პანორამა თბილისის“ გარშემო. მმართველ პარტიას შეუსრულებელი დაპირებებისა და სხვა ბევრი რამის გამო ვაკრიტიკებ, მაგრამ არ მიმაჩნია სწორად ხელისუფლებისა და საკრებულოს უმრავლესობის მიწასთან გასწორება იმაზე, რომ მან ამ პროექტის ხელშემწყობი გადაწყვეტილებები მიიღო. სააკაშვილს თუ რაიმე კარგი გაუკეთებია, მაგალითად, ბათუმში, ამასაც ვიწონებ. სააკაშვილმა და მისმა პარტიამ თბილისში ბევრი გააფუჭა კიდეც, მაგალითად, სიმახინჯე დადგა იმელის შენობის უკან, თავად ეს შენობა კი ნაწილობრივ გააოხრა.

ხალხსაც ვერ ვატყობ, რომ „პანორამა თბილისის“ საწინააღმდეგო რაიმე ჰქონდეს. საზოგადოებამ მოიწონა ისიც, რომ თავის დროზე მთაწმინდის პარკი კეთილმოაწყო ბადრი პატარკაციშვილმა. თუ უცხოელ ინვესტორებს დავეძებთ და შეღავათებს ვუწესებთ, რატომ ვეძებეთ ასე ბიძინა ივანიშვილს? პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ამას აკეთებს ბოღმის გამო. ეს პირები ვერ ეგუებიან იმას, რომ მილიარდიან სასარგებლო პროექტს ახორციელებს არა სააკაშვილი, არამედ ივანიშვილი.

ეს ადამიანები მოესწრნენ 90-იან წლებს, დანგრეულ თბილისს და სიხარულით უნდა ხვდებოდნენ აღმშენებლობას, მაგრამ რატომღაც პირიქით იქცევიან. მიწისქვეშა სადგომზე ატეხეს ალიაქოთი. მიწისქვეშა პარკინგები უნდა მოეწყო ნაციონალების მიერ შემოყვანილ „სიტი პარკს“. ამ კომპანიამ ეს პირობა არ შეასრულა. ახლა ამას ინვესტორი აკეთებს, მაგრამ ეს ზოგიერთის პროტესტს იწვევს. ამის გამო იმართება წინასაარჩევნო ხმაურიანი აქციები, რომელსაც ხალხი არ ჰყვება.

„იოსებ ოსორაულის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დაზუსტება ვერ ხერხდება“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავის იოსებ ოსორაულის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დაზუსტება ვერ ხერხდება.

როგორც საგარეო უწყებაში ოსორაულის ოჯახის 15 ოქტომბრის აქციის საპასუხოდ განმარტავენ, იოსებ ოსორაულის დაღუპვის შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის მიუხედავად, ვიდრე არ მოხდება ფაქტის შესაბამისი დადასტურება, პირის გარდაცვალების შესახებ მტკიცებითი ფორმით საუბარი შეუძლებელია. განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე საომარი მოქმედებებით გამოწვეული მძიმე ვითარების გამო, დღემდე ვერ ხერხდება სრულად ინფორმაციის დაზუსტება. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ყველა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ისევე როგორც ორმხრივ რეჟიმში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან. იოსებ ოსორაულის დაღუპვის შესახებ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის მიუხედავად, ვიდრე არ მოხდება ფაქტის შესაბამისი დადასტურება, პირის გარდაცვალების შესახებ მტკიცებითი ფორმით საუბარი შეუძლებელია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იოსებ ოსორაულის მეამბოხეების ტყვეობაში ყოფნის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე აამოქმედა ყველა მექანიზმი საქართველოს მოქალაქის ტყვეობიდან გამოსახსნელად და საქართველოში დასაბრუნებლად.

ამასთან, პირველივე დღეებიდან იოსებ ოსორაულის ოჯახის წევრები და ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებული იყო ყველა ნაბიჯის შესახებ, რასაც საგარეო საქმეთა სამინისტრო სხვა უწყებებთან ერთად ახორციელებდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ქმედებების შესახებ ინფორმირებული იყო თავად ტყვეობაში მყოფი იოსებ ოსორაული, რომელიც ერთ-ერთ ვიდეოში მადლობას უხდის სამინისტროს ყველა იმ ნაბიჯისთვის, რაც იდგმებოდა მის გასათავისუფლებლად.

მას შემდეგაც, რაც, სამწუხაროდ, გავრცელდა ინფორმაცია იოსებ ოსორაულის დაღუპვის შესახებ, ასევე, მოპოვებული იქნა შესაბამისი ფოტომასალა (რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა და ასევე, ნაჩვენები იქნა ოჯახის წარმომადგენლისთვის), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არცერთი წუთით არ შეუჩერებია ქმედებები, რათა ინფორმაცია გადამოწმებულიყო, და შესაბამისად გადადგმულიყო შემდგომი ნაბიჯები.

ჩვენ ვიზიარებთ ოჯახის წევრების შეშფოთებას გაურკვეველი სიტუაციის გამო, თუმცა ვარწმუნებთ, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ ყველა ნაბიჯი იდგმება საბოლოო შედეგის მისაღწევად და ოჯახის წევრების ჩართვის არანაირი მიზანშეწონილობა არ არსებობს. როგორც აქამდე ხდებოდა, ოჯახი მომავალშიც სრულად იქნება ინფორმირებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ნაბიჯებთან დაკავშირებით.

ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს სხვა მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დაბრუნდნენ სამშობლოში, რადგან ისინი, იქ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, საფრთხის ქვეშ არიან, – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

21 ოქტომბრის არჩევნებისთვის 9.546.450 ბიულეტენი დაიბეჭდება

ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის 9.546.450 ბიულეტენი დაიბეჭდება. ბიულეტენების ბეჭდვა 14 ოქტომბერს დაიწყო. ცესკოს სპიკერ ანა მიქელაძის განცხადებით, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესი რამდენიმე დღე გაგრძელდება და მას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებთან ერთად დააკვირდება 2 საერთაშორისო და 6 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის 20 დამკვირვებელი.

– საერთო ჯამში, თბილისის 9 სტამბაში დაიბეჭდება 9.546.450 ბიულეტენი. საარჩევნო ადმინისტრაციამ სტამბების შერჩევის პროცესში სხვა კრიტერიუმებთან ერთად ასევე გაითვალისწინა ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, როგორიცაა ერთეულის კონკურენტუნარიანი ღირებულება, საბეჭდი დანადგარის ხარისხი და სტამბების დაცულობა. აღსანიშნავია, რომ ყველა შერჩეული სტამბა აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, – განაცხადა ანა მიქელაძემ.

21 ოქტომბერს ამომრჩეველს საარჩევნო უბანში გადაეცემა 3 სახის ბიულეტენი:

ერთი – ცისფერი ბიულეტენი განკუთვნილია პროპორციული არჩევნებისთვის პარტიის ან საარჩევნო ბლოკის ასარჩევად;

მეორე – ვარდისფერი ბიულეტენი – საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ასარჩევად;

მესამე – ღია მწვანე ბიულეტენი – თვითმმართველი ქალაქის ან თვითმმართველი თემის მერის ასარჩევად.

კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით, თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენი თანმიმდევრობით დაინომრება და 50-50 ცალად აიკინძება ბლოკნოტების სახით. თითოეულ საარჩევნო უბანს ამომრჩეველთა რაოდენობიდან გამომდინარე, გადაეცემა 50-ის ჯერადი ოდენობის ბიულეტენი.

ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატების ასარჩევად 1088 მაჟორიტარული განსხვავებული სახის ბიულეტენი დაიბეჭდება. ასევე, 64 სახის სხვადასხვა პროპორციული სიის და თვითმმართველი ქალაქისა და თემის მერის არჩევნებისათვის 64 განსხვავებული სახის ბიულეტენი.

– აღსანიშნავია, რომ ბიულეტენები ასევე დაიბეჭდება ეთნიკური უმცირესობების ენებზე: ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე. ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე ბიულეტენები მიეწოდება 208 საარჩევნო უბანს, ხოლო ქართულ-სომხურ ენებზე – 133 საარჩევნო უბანს. ასევე, ოთხი საარჩევნო უბნისთვის დაიბეჭდება სამენოვანი ბიულეტენები (ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხურ ენებზე), – განაცხადა ცესკოს სპიკერმა.

მისივე თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისია კანონით განსაზღვრულ ვადებში (არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-2 დღისა), საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს ბიულეტენებს. თავის მხრივ, საოლქო საარჩევნო კომისიები კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 12 საათისა უზრუნველყოფენ ბიულეტენების მიწოდებას საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაიბეჭდება როგორც ამომრჩეველთა სამაგიდო (ფოტოსურათიანი), ისე სიის საჯარო (კედლის) ვერსია და ამომრჩეველთა ბარათები.

ცესკოს ინფორმაციით, საბოლოო მონაცემებით, ამ არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში, საერთო ჯამში, რეგისტრირებულია 3.440.123 ამომრჩეველი.

ინტერპრესნიუსი

„ქართული ოცნება“ კალაძეს საბოტაჟს უწყობს“

შორენა მარსაგიშვილი

გია ხუხაშვილი: „მაღალი ლეგიტიმაციით არჩევის შემთხვევაში, მის გარშემო შესაძლოა ალტერნატიული ძალის ცენტრი ჩამოყალიბდეს“

რა პროცესები მიმდინარეობს „ქართულ ოცნებაში“, რაზე უხუჭავს თვალს ხელისუფლება „ევროპულ საქართველოს“, იქნება თუ არა მომავალშიც ქართული პოლიტიკა ორპოლუსიანი? – ამ თემებზე ექსპერტი გია ხუხაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ბიძინა ივანიშვილისთვის პუშკინის სკვერის გადაცემას საზოგადოებაში სერიოზული გულისწყრომა მოჰყვა. თქვენი აზრით, ვის და რატომ დასჭირდა არჩევნების წინ ასეთი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა?

– ის, რაც პუშკინის სკვერის გარშემო ხდება, წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაციაა. ივანიშვილს შესაძლოა დავაბრალოთ, რომ ის ახირებულია, მაგრამ ეს პროექტი მისთვის კომერციული თვალსაზრისით საინტერესო არ არის. ამ პროექტში ძალიან ბევრი ინვესტიციაა ჩასადები. პროექტის დასრულების შემდეგ კი მისი გასაყიდი ფასი დახარჯული თანხის ნახევარი იქნება მხოლოდ. აქედან გამომდინარე, არასერიოზულია ივანიშვილის კომერციულ დაინტერესებაზე საუბარი.

ოპოზიცია წმინდა წყლის პოლიტიკურ სპეკულაციას მიმართავს. გამართლებული და სწორი არც „ქართული ოცნების“ ტაქტიკაა. ჩვენ საქმე გვაქვს ან ზღვარგადასულ სიბრიყვესთან, ან მიზანმიმართულ საბოტაჟთან.

– „ოცნება“ ივანიშვილის უწყობს საბოტაჟს?

– საბოტაჟი მის წინააღმდეგ არ ხორციელდება. ის ასეთ შეტევებს მიჩვეულია. საბოტაჟი უფრო კახა კალაძის, როგორც თბილისის მომავალი მერის, მიმართ ხორციელდება. ამაში შეგვიძლია დავინახოთ გარკვეული პოლიტიკური ლოგიკა. „ოცნების“ შიგნით რაღაც ჯგუფები კალაძეს უტევენ.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით თუ ვინმე ზარალდება, ეს არის „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი. ის, რაც პუშკინის სკვერის გარშემო ხდება, არც ნარმანიას დააკლებს რამეს და არც – ივანიშვილს, რომელიც ასეთ დარტყმებს შეჩვეულია.

– „ოცნების“ შიგნით რაღაც ჯგუფები კალაძეს ურტყამენო. ეს ვერ გათვალა მერობის კანდიდატმა თუ ამისთვის ხელის შეშლა არ შეუძლია?

– შეიძლება გათვალა კიდევაც, მაგრამ ამ პროცესებს ხელს ვერანაირად შეუშლიდა.

– მოვლენების ეპიცენტრი თბილისის საკრებულოშია. საკრებულოს „ოცნების“ შემადგენლობა ისეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, რომ ასეთ რამეს მოიფიქრებს და მერე კალაძეს საბოტაჟს მოუწყობს.

– შეიძლება ეს ამბავი იქ სულაც არ დაიგეგმა და საკრებულო მხოლოდ ინსტრუმენტად იქნა გამოყენებული. საბოტაჟის გარდა, შესაძლოა, საქმე სიბრიყვესთანაც გვქონდეს. „ქართულ ოცნებაში“ სიბრიყვე ხშირად შეიმჩნევა. ასე რომ, რომელი ვერსიაა დამაჯერებელი, ჩემთვის ძნელი სათქმელია.

ფაქტი ისაა, რომ ამ ყველაფრიდან, როგორც უკვე გითხარით, კახა კალაძე ზარალდება. როგორც ჩანს, მისი თბილისის მერობა მაღალი ლეგიტიმაციით მმართველ გუნდშიც არ მოსწონთ მაინცდამაინც.

– რატომ არ მოსწონთ, რადგან ის სხვებთან შედარებით უფრო დამოუკიდებელი მოთამაშეა?

– მე არ მგონია, რომ ის დამოუკიდებელი მოთამაშეა, მაგრამ გრძელვადიან პოლიტიკურ პერსპექტივაში ვიღაც შეიძლება კალაძის მაღალ ლეგიტიმაციაში რისკებს ხედავდეს. სუსტი ლეგიტიმაციის შემთხვევაში, მისი გაკონტროლება ბევრად უფრო ადვილი იქნება.

– მაინც რა რისკებს ხედავენ „ოცნების“ რაღაც ჯგუფები კალაძის მაღალი ლეგიტიმაციით არჩევისას?

– მაღალი ლეგიტიმაციით არჩევის შემთხვევაში, მის გარშემო შესაძლოა ალტერნატიული ძალის ცენტრი ჩამოყალიბდეს. გრძელვადიან პოლიტიკურ პერსპექტივაში ვიღაცას მიაჩნია, რომ ეს პრობლემაა.

– ეს ვიღაც შემთხვევით ბიძინა ივანიშვილი ხომ არ არის?

– მე არ ვიცი, ვინ, რა და როგორ, მაგრამ ასეთი ტიპის თამაში პოლიტიკურ ლოგიკას ექვემდებარება. სიბრიყვე, მოგეხსენებათ, ანალიზს არ ექვემდებარება, მაგრამ ისიც შესაძლებელია. უშუალო ფიგურანტებზე ვერ ვისაუბრებ, რადგანაც ეს ჭორაობას დაემსგავსება.

– ამ პროცესებმა ნაციონალების გამოცოცხლებასაც შეუწყო ხელი და ვიღაცას ეს მიზანიც ხომ არ ჰქონდა? მათ ყველა არჩევნების წინ აცოცხლებენ.

– ამ პროცესების ერთ-ერთი ირიბი შედეგი ნაციონალების გაცოცხლება გახლავთ. ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ დაინტერესებულია ორპოლუსიანი პოლიტიკური თამაშით.

ეს პოლიტტექნოლოგია კარგად მუშაობდა ყველა წინა არჩევნებზე – „ოცნება“ და ნაცმოძრაობა გარკვეულ სიმბიოზად ჩამოყალიბდნენ. ისინი ერთმანეთს კვებავენ. შესაბამისად, ამომრჩევლის თვალში ყველა სხვა ალტერნატივის გადაფარვა თუ მოხერხდება, აქედან ორივე სარგებელს ნახავს. ისინი რეალურად იყოფენ ძალაუფლებას.

ამომრჩეველს თუ გაუჩნდა განცდა, რომ სხვა არავინ არის და ამათ დაპირისპირებაზე იკეტება მთელი სამყარო, ამით აუცილებლად ისარგებლებს ხელისუფლება. ის ყველა შემთხვევაში უგებს ნაციონალებს.

ამით ნაციონალური მოძრაობაც სარგებლობს. ის ფიქსირდება, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი ოპოზიციური ძალა. ეს ორი ძალა ამ ამბებში გარკვეულ დივიდენდებს იღებს.

– როცა ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრობთ, ყოფილ ხელისუფლებას გულისხმობთ თუ „ევროპული საქართველოს“ მიერ მიტოვებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გყავთ მხედველობაში?

– რა თქმა უნდა, ყოფილ ხელისუფლებას ვგულისხმობ. ისინი ახლა გაყოფილი არიან და ერთმანეთი უფრო ეზიზღებათ, ვიდრე „ქართული ოცნება“. ამის მიუხედავად, ამომრჩეველი მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავს. იმის ჩამორეცხვა ფაქტობრივად შეუძლებელია, რასაც 9 წლის განმავლობაში ყოფილი ხელისუფლება აკეთებდა. „ევროპული საქართველო“ თუ ფიქრობს, რომ გვერდზე გადგომით იმ ცოდვებს ჩამოირეცხავს, ძალიან შემცდარა.

ხელისუფლება მათ ამაში რაღაცნაირად ხელს უწყობს. „ოცნება“ ამბობს, ვინც მიშას შეაგინებს, მზად ვარ, ყველას ჩავეხუტოო. ამომრჩევლის თვალში ბოკერია ისევ იმ ბოკერიად დარჩა. მას ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება 9 წელზე, როგორიც სააკაშვილს.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური რესურსები აქვთ, საერთოდ ვერ ვხედავ, ვინ არის „ევროპული საქართველოს“ ამომრჩეველი. ამომრჩევლის მოზიდვაში არც ის ეხმარებათ, რომ ხელისუფლება მათ მიმართ კეთილგანწყობას იჩენს.

– კეთილგანწყობის გამოჩენა რით გამოიხატება?

– „ოცნება“ „ევროპულ საქართველოს“ პოლიტიკური სუნთქვის შესაძლებლობას აძლევს. ისინი თვალს ხუჭავენ იმაზე, როგორ ახერხებს ეს გუნდი ფულადი რესურსების მოზიდვას.

ისინი აშკარად სასათბურე პირობებში არიან. ამის მიუხედავად, კიდევ ერთხელ ვამბობ, არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს მათი ამომრჩეველი. ერთადერთი, რაც შეძლეს, ისაა, რომ ნაციონალების მხარდამჭერების ნაწილი წაიყვანეს თავისთან, მაგრამ ეს არის ძალიან დაბალი პროცენტი.

მესამე ძალის მოსურნე ელექტორატიდან მათ არავინ წაუყვანიათ და ვერც წაიყვანენ.

– ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ თვითმმართველობის არჩევნებზეც ძალაუფლებას ყოფილი და მოქმედი ხელისუფლება გადაინაწილებენ?

– ნაციონალური მასშტაბით ასე იქნება. აქ რესურსებზეა ლაპარაკი. სხვა პარტიებს არანაირი რესურსები არ გააჩნიათ. ერთადერთი ინტრიგა ელისაშვილის სახით რჩება თბილისში. მისი შანსები მაღალი არაა, მაგრამ ეს შანსები, შესაძლოა, რეალიზებულ იქნეს.

ის ორპოლუსიანობა მაინცდამაინც ეფექტურად აღარ მუშაობს. ამ არჩევნებზე ეს სქემა ნაკლებად იმუშავებს.

– თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასარჩევი ძალაც არ ჩანს.

– ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა. ამომრჩევლის 60% თვლის, რომ მას ჰყავს ცუდი ხელისუფლება და უარესი ოპოზიცია. პოლიტიკური ელიტა ღრმა კრიზისშია. ის მუდმივი წარუმატებლობითა და ძველი ცოდვებით არის დატვირთული.

ამომრჩეველი ეძებს და ვერ პოულობს ღირსეულ არჩევანს, მაგრამ, რადგან ასეთი მოთხოვნა გაჩნდა, ასეთი ძალაც გამოჩნდება ადრე თუ გვიან. პოლიტიკური ცხოვრებაც გაცოცხლდება. არსებული პოლიტიკური ელიტა საკუთარ პრობლემებს ვერ წყვეტს და სახელმწიფო პრობლემას როგორ გადაწყვეტს.

– საპრეზიდენტო არჩევნებისთვის თუ გამოჩნდება ასეთი ახალი ძალა?

– პროცესები ისე ვითარდება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში რაღაც დინამიკას მივიღებთ. ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არის მოსალოდნელი.

ნაცმოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის ოთხმა წევრმა არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის ოთხმა წევრმა თვითმმართველობის არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. აღნიშნული ინფორმაცია ზუგდიდის 67-ე საოლქო კომისიის თავმჯდომარე მირანდა მესხმა დაადასტურა.

ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას შესაბამისი განცხადებით ნაციონალური მოძრაობის კორცხელის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გელა თოლორაიამ, ყულიშკარის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ლევან მაქაცარიამ, ცაიშის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოდერძი კუკავამ და პროპორციული სიის წევრმა გიორგი თოფურიამ მიმართეს.

ვრცელდება ასევე ინფორმაცია მათ მიერ პარტიის დატოვების შესახებაც. ამ ფაქტს ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის ოფისში ამ ეტაპზე არ ადასტურებენ.

ინტერპრესნიუსი

გიორგი მარგველაშვილი იტალიის რესპუბლიკას ეწვია

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით იტალიის რესპუბლიკას ეწვია. გიორგი მარგველაშვილის დახვედრის ოფიციალური ცერემონია 16 ოქტომბერს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კვირინალეს სასახლეში გაიმართება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტს

სერჯო მატარელას პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში – დელეგაციასთან ერთად შეხვდება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი, პრეზიდენტის საერთაშორისო მდივანი თენგიზ ფხალაძე, პოლიტიკური მდივანი ფიქრია ჩიხრაძე, საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში კარლო სიხარულიძე.

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა იტალიის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარესთან პიეტრო გრასოსთან.

გიორგი მარგველაშვილი რომში ნატო-ს თავდაცვის კოლეჯის უმაღლესი კურსის სტუდენტებს შეხვდება და საჯარო ლექციას წაიკითხავს.

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი იტალიის რესპუბლიკაში 17 ოქტომბერს დასრულდება.

ინტერპრესნიუსი

იუსტიციის მინისტრის ხელფასი თვეში 3.540 ლარია, მძღოლის – 790

იუსტიციის სამინისტროში შტატით გათვალისწინებული 213 თანამდებობაა.

მინისტრის პოსტზე ანაზღაურება თვეში 3.540 ლარია; მინისტრის პირველი მოადგილის კი – 2.950 ლარი.

ამასთან, მინისტრს ჰყავს 4 მოადგილე და თითოეულის ანაზღაურება თვეში 2.720 ლარია. რაც შეეხება მრჩევლებს, იუსტიციის მინისტრს შტატით გათვალისწინებული 1 მრჩეველი ჰყავს, რომლის თანამდებობრივი სარგოც 1.540 ლარია.

დეპარტამენტის უფროსის პოსტზე ანაზღაურება 2.170 ლარია; დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობრივი სარგო – 1.900 და 2.110 ლარი; გენერალური ინსპექციის უფროსის – 2.170 ლარი; მისი მოადგილის – 2.110 ლარია.

რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, სამმართველოს უფროსების ანაზღაურება განსხვავებულია და 1.200; 1.700; 1.800 და 1.900 ლარია. 990 ლარი აქვს მინისტრის თანაშემწეს; მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწესა და მინისტრის მოადგილეთა თანაშემწეებს.

ასევე განსხვავებულ ანაზღაურებას იღებენ სამინისტროში მრჩევლებიც, რომელთა თანამდებობრივი სარგო 990, 1.090, 1.200, 1.350 და 1.540 ლარია; აუდიტორების თანამდებობრივი სარგო 1.200; 1.350 და 1.540 ლარს შეადგენს; გამომძიებლის – 1740-ს; სპეციალისტის -750; ხოლო მძღოლის ანაზღაურება თვეში 790 ლარია.

ბიპიენი

„მიწის გაყიდვაზე მორატორიუმმა ინვესტიციები არ გაზარდა“

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების საკითხზე გადაცემა „საქმის კურსში“ საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი მაიკლ ქოუგლი საუბრობს.

რა რეკომენდაციები აქვს ამერიკის სავაჭრო პალატას მიწის შესახებ კანონზე

– ბატონო მაიკლ, როგორია თქვენი პოზიცია უცხოელებზე მიწების გასხვისების საკითხთან დაკავშირებით?

– ჩემი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ის არის, რომ კონსტიტუციაში არ უნდა შევიტანოთ ჩანაწერი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაცნობიერებთ იმას, რომ ეს ძალიან მგრძნობიარე საკითხია და მთავრობას ამ მიმართულებით გარკვეული პასუხისმგებლობა გააჩნია ადამიანების მიმართ. ჩვენ ძალიან გაგვეხარდა, რომ აღნიშნულ საკითხში ერთგვარი ცვლილება შეიტანეს და იგი თავდაპირველი სახით არ მიიღეს, რაც იმას გულისხმობდა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელებზე უნდა აკრძალულიყო. ჩვენ აღნიშნულ საკითხში აქტიურად ვართ ჩართული, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან თუ სააგენტოსთან, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ახალი ორგანული კანონი ყველა სერიოზულ ინვესტორს საკუთარი ინვესტიციების სასოფლო-სამეურნეო მიწებში ჩადების საშუალებას მისცემს, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა. პირდაპირი ინვესტირება ძალიან მომგებიანია, თუნდაც ისეთ სფეროში, როგორიც სასოფლო-სამეურნეო მიწებია.

– როგორია ინვესტორთა საბჭოს არასამთავრობო წევრების პოზიცია ამ კონკრეტულ ჩანაწერთან დაკავშირებით და რა ინფორმაციას ფლობთ, რას აპირებს მთავრობა ორგანულ კანონში და ინვესტორების მხრიდან რა უნდა გაითვალისწინოს?

– ჩვენ გვჯერა, რომ მთავრობა ამ ყველაფერს გაითვალისწინებს და იმედი გვაქვს, რომ აღნიშნულ ორგანულ კანონში ჩვენს წვლილსაც შევიტანთ. იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ძალიან რთული საკითხია. გვჯერა, რომ მთავრობა ორგანული კანონის შექმნის პარალელურად, ამ ყველაფერს დაწვრილებით სწავლობს. შესაბამისად, ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ აღნიშნულ საკითხში ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

– აღნიშნულ თემაზე საბჭოში მიმდინარე წლის 14 ივნისს დისკუსია გაიმართა და საბჭოს ოფიციალურ ოქმში ვკითხულობთ, რომ, სხვა წარმომადგენლებთან ერთად, თქვენც წუხილი გამოთქვით სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესაძლო აკრძალვასთან დაკავშირებით და თქვენთვის გაუგებარი იყო, რა დგას ამ ყველაფრის უკან. ოთხი თვე გავიდა და დღეს თუ გესმით, მთავრობა რატომ დგამს ამ ნაბიჯს, მისი პოზიცია თქვენთვის გასაგებია?

– როგორც ჩვენ მთავრობის მიერ ჩატარებულ ძალიან ბევრ საჯარო შეხვედრაზე განგვიმარტეს, მთავარი კომპონენტი დაკავშირებულია იმასთან, რომ მოსახლეობა, ამომრჩევლები იჩენენ ინიციატივას, რომ საკითხი კონსტიტუციაში შევიდეს. ისინი მოითხოვენ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელებზე აიკრძალოს, ანუ ამ ყველაფერს მოსახლეობა მოითხოვს. აღნიშნულ საკითხზე ჩვენ ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდეს.

– მიმდინარე წლის ორი კვარტლის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაახლოებით 5.5%-ით არის შემცირებული. როგორ შეაფასებთ ამ კუთხით ბოლო წლებში მთავრობის საქმიანობას?

– კონკრეტული სტატისტიკა სამწუხაროდ არ მინახავს და შესაბამისად, კონკრეტული პოზიციის გაჟღერება ძალიან რთულია. ჩვენ მსგავს სიტუაციას წარსულშიც წავაწყდით, როდესაც არსებობდა იმის ინიციატივა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელებზე აკრძალულიყო. მესმის, რომ მთავრობა საკმაოდ რთულ პოზიციაშია და სწორედ ამიტომ შეაქვს აღნიშნული კანონი კონსტიტუციაში.

– ჩვენ მიწების გასხვისებაზე ერთი მორატორიუმი გავიარეთ და ახლა მეორე მორატორიუმზე ვართ შეჩერებული. დაახლოებით სამი წელი გავიდა, მაგრამ ორგანული კანონი ჯერჯერობით არ გვაქვს. ეს სამი წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ტექნოლოგიებისა და უცხოური გამოცდილების მიღების კუთხით დაიკარგა?

– დღეს სასოფლო-სამეურნეო სფეროში ბევრი ინვესტორი არ შემოდის. რა თქმა უნდა, არიან ისეთი ინვესტორებიც, რომლებიც აღნიშნულ სფეროში დებენ თანხებს, მაგრამ ეს არ არის დიდი რაოდენობა და ამიტომ რთულია იმის თქმა, რომ მორატორიუმმა რამე კონკრეტული დადებითი შედეგი გამოიღო ინვესტირების სფეროში.

ბიზნესმედია

საქართველოში შემოსვლას 25-მდე ავიაკომპანია აპირებს

ქუთაისის აეროპორტის მგზავრებს მომავალი წლიდან კიდევ ერთი ახალი ტერმინალი მოემსახურება. ამ სტრატეგიული მდებარეობის მქონე აეროპორტის ხუთწლიანი ისტორია ძირითადად იაფად მგზავრობის მიზნებს უკავშირდება, რადგან აქ დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია ვიზ ეარი ოპერირებს.

აღნიშნული თემით გადაცემა „საქმის კურსში“ საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორი ქეთევან ალექსიძე საუბრობს.

„ვაზიანის აეროპორტი ჯერჯერობით შორეული პერსპექტივაა“

– ქალბატონო ქეთევან, ქუთაისის აეროპორტის ახალი ტერმინალი რამდენად გაზრდის მგზავრთნაკადს და აღნიშნული ინფრასტრუქტურული სიახლე აეროპორტის ეფექტიანობაზე რამდენად აისახება?

– ქუთაისის აეროპორტის ტერმინალის გაფართოება იქიდან გამომდინარე დაიგეგმა, რომ საკმაოდ გაიზარდა მგზავრთნაკადი და სწორედ მათი მომსახურებისთვის დაგვჭირდა გაზრდილი ინფრასტრუქტურული გარემო. განისაზღვრა, მომდევნო 5-7 წლის განმავლობაში რა ტიპის ინფრასტრუქტურა დაგვჭირდება იმისთვის, რომ გაზრდილ მგზავრთა ნაკადს მოვემსახუროთ. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ახალი ტერმინალი პიკურ საათში დაახლოებით 1.000-1.200 მგზავრს მოემსახურება, რაც ერთი და იგივე დროს დაახლოებით 5-6 რეისია.

– ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს აღნიშნა, რომ ქუთაისის აეროპორტი არამიზნობრივი ხარჯი იყო. ამ განცხადებიდან 5 წელი გავიდა და დღეს ქუთაისის აეროპორტის სტრატეგიულ ფუნქციას როგორ შეაფასებდით?

– ქუთაისის აეროპორტის მნიშვნელობა და მისი ფუნქცია კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული არასდროს ყოფილა. 2012 წელს საკმაოდ დიდი თანხა (15 მილიონამდე) იყო დასახარჯი იმისთვის, რომ აეროპორტი დასრულებულიყო, ვინაიდან სექტემბერში აეროპორტი ბოლომდე დასრულებული არ იყო და სწორედ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის შემდგომ შევძელით აეროპორტის მშენებლობის დასრულება. 2013 წლიდან იგი სრულად ამუშავდა და მგზავრთნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დღეის მონაცემებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი სხვა დანარჩენ აეროპორტებთან ერთად, ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რა თქმა უნდა, ეს ტურიზმის მიმართულებაა და მეორე მხრივ, გლობალურად ეს ქვეყნის მდგრადი განვითარებაა.

– სხვა მცირე აეროპორტების მხრივ რა ხდება? თუ შეთის მიმართულებით საავტომობილო მიმოსვლით გადაადგილებასთან დაკავშირებით პრობლემებია. ამ მიმართულებით რეგულარულ მიმოსვლაზე საკითხი არაერთხელ დაისვა. რამე სიახლეს ხომ არ ფლობთ?

– თუშეთისა და ომალოს მიმართულებები ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო და კვლევა გვაქვს დაწყებული იქ აეროპორტის ან შესაძლოა აეროდრომის მშენებლობასთან დაკავშირებით. იყო პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ფრენები ხორციელდება და იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წლის დასასრულისთვის უკვე ზუსტად გვეცოდინება ის კონცეპტი, თუ როგორ უნდა განვითარდეს იქ საერაროდრომო ინფრასტრუქტურა.

სხვა აეროპორტებს რაც შეეხება, ამბროლაურის აეროპორტი მიმდინარე წელს გაიხსნა და საკმაოდ წარმატებულად მუშაობს. გვყავს როგორც ადგილობრივი, ასევე საკმაოდ ბევრი უცხოელი ტურისტი და ზაფხულის პერიოდში 5 რეისამდე გვქონდა გაზრდილი. ასევე ძალიან კარგად მუშაობს თბილისი-ნატახტარი-მესტიის მიმართულება და ქუთაისი-მესტიის მიმართულებაც, რომელიც პრაქტიკულად ყოველთვის სავსეა და საკმაოდ დიდი ნაწილი ტურისტებზე მოდის.

– რას გვეტყვით თელავის აეროპორტ „მიმინოზე“, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება, რა პერსპექტივები აქვს თელავის აეროპორტს და როგორია თქვენი გეგმები?

– თელავის აეროპორტი საავიაციო უნივერსიტეტს ეკუთვნის და იქ სასწავლო ფრენები მიმდინარეობს. ჩვენ გლობალურად განვიხილავთ ადგილობრივი აეროპორტების განვითარებას ქვეყნის ურბანული და სივრცითი მოწყობის ფარგლებში და რა თქმა უნდა, თელავის აეროპორტის, ისევე როგორც სხვა აეროპორტების შეფასება და გადაწყვეტა ხდება, თუ რომელი შეიძლება პირველი რიგის პროექტი გახდეს უახლოეს მომავალში.

ამ ეტაპზე თბილისის აეროპორტი გაფართოვდა, ქუთაისის აეროპორტის გაფართოება იგეგმება და ასევე ბათუმსა და ომალოზე ვმუშაობთ. ეს პირველი რიგის ამოცანებია, რომლებიც ამ ეტაპზე დგას ჩვენს წინაშე.

– ევროპაში ყველაზე დიდი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია რიანაირი აპირებს თუ არა საქართველოში შემოსვლას?

– ჩვენ მოლაპარაკებას ძალიან ბევრ ავიაკომპანიასთან ვაწარმოებთ, იქნება ეს დაბალბიუჯეტიანი თუ სხვა ჩვენთვის საინტერესო როგორც ევროპული, ასევე არა ევროპული მიმართულებებთან. რაც შეეხება კონკრეტულ კომპანიებსა და კონკრეტულ მიმართულებებს, ამ ეტაპზე პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან, ავიაკომპანიების პოლიტიკის შესაბამისად, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული და ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერება მიმართულებების შესახებ, გაცხადება არ ხდება.

დაახლოებით 20-25 ავიაკომპანიას ვესაუბრებით. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ახალ კომპანიებთან და უკვე არსებულ კომპანიებთანაც ფრენების სიხშირეების გაზრდაზე და ახალი მიმართულებების დამატებაზე.

– 2013 წელს გაჟღერებული ინიციატივით, ვაზიანის აეროდრომის განვითარება იყო შესაძლებელი. დღეს თუ გაქვთ რამე კონკრეტული ხედვა ან სტრატეგია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?

– იმ მოლაპარაკების ფარგლებში, რომელიც ჩვენ გვქონდა „ტავ ჯორჯიასთან“ და „ტავ ჰოლდინგთან“, ჩვენ უკვე კონკრეტული შედეგები დავდეთ. ეს არის განახლებული ინფრასტრუქტურა და ასაფრენი ზოლი და ასევე ახალი ჩამოფრენის ტერმინალი. ამას საჰაერო ხომალდების სადგომიც დაემატა და დღესდღეობით თბილისის საერთაშორისო აეროპორტი იმ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომლებიც მის წინაშე დგას.

ვაზიანის აეროპორტი ჯერჯერობით შორეული პერსპექტივაა და დღეს ამ მიმართულებით ჩვენ არ ვმუშაობთ.

საქართველოში ბევრი აეროპორტია, მათ შორის, სამხედრო აეროპორტი და ამ შემთხვევაში სამხედრო სტრატეგიაც არის მხედველობაში მისაღები. 2027 წლის მერე პერსპექტივას რაც შეეხება, როდესაც არსებული ხელშეკრულება დასრულდება, ეს სულ სხვა საკითხია, რომელზეც გარკვეული პერიოდის შემდეგ მუშაობა დაიწყება.

ამ ეტაპზე ჩვენთვის პირველი რიგის ამოცანა არსებული ტერმინალის იმ სტანდარტებში მოყვანა და ოპერირებაა, რომელიც მგზავრთა მომსახურებისთვის გვჭირდება.

ბიზნესმედია

კომისიამ „მაგთიკომი“, „ბილაინი“ და „ჯეოსელი“ წერილობით გააფრთხილა

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის“ თანახმად, მობილური სატელეფონო მომსახურების გაწევის თაობაზე მომხმარებელთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება მობილურ ოპერატორს ეკისრება.

ამავე რეგულაციების თანახმად, მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაციის სისწორის შემოწმების ვალდებულებაც ოპერატორს ეკისრება.

– კომისია პერმანენტულად ატარებს მობილური ოპერატორების მონიტორინგს. 2017 წლის 7 სექტემბერს ჩატარებული შემოწმების შედეგად, სამივე მობილურ ოპერატორთან განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა – სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმება და სიმ ბარათების შეძენა. სამივე მობილურ ოპერატორთან შესაძლებელი გახდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე და მცდარი პირადი მონაცემებით სააბონენტო ხელშეკრულების დადება, – ამბობენ კომისიაში.

მობილური ოპერატორის მიერ მომხმარებლებთან საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულებების დადების გარეშე მომხმარებლებისათვის გადაცემული საბონენტო ნომრები ხშირ შემთხვევებში გამოიყენება ტექნიკურ მოწყობილობებში (ე.წ. „სიმ ბოქსები“), რომელთა საშუალებით ხდება საერთაშორისო ზარის ადგილობრივ ზარად გარდაქმნა.

– ასეთ დროს რთულია სააბონენტო ნომრების მფლობელის იდენტიფიცირება, რითაც ზიანი ადგება როგორც თავად ოპერატორს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს. მომხმარებელთან სათანადო ხელშეკრულების დადების პირობების დაცვა, არა მხოლოდ მომსახურების მიმწოდებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაა, არამედ ხელს უწყობს ასეთი სახის კანონდარღვევის (საერთაშორისო ზარების განხორციელების დროს თაღლითობა) პრევენციასაც, – ნათქვამია კომისიის განცხადებაში.

კომისიამ საკითხი საჯარო სხდომაზე განიხილა, მოისმინა სამივე მობილურ ოპერატორის შპს „მაგთიკომის“, შპს „ბილაინისა“ და შპს „ჯეოსელის“ წარმომადგენლების პოზიციები და მიიჩნია, რომ ოპერატორებმა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები დაარღვიეს.

– ამის გამო კომისიამ სამივე კომპანია წერილობით გააფრთხილა, – განმარტავენ კომისიაში.

პოლიციამ ქართულ ინტერნეტსივრცეში ონლაინთამაში „ლურჯი ვეშაპი“ ვერ იპოვა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ონლაინთამაშ „ლურჯ ვეშაპთან“ დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

– მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია ე.წ. ონლაინთამაშთან – „ლურჯ ვეშაპთან“ დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებაზე.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში მიმდინარე წლის 30 მაისს დაიწყო გამოძიება ონლაინთამაშის – „ლურჯი ვეშაპის“ შემქმნელების მიერ არასრულწლოვანთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის, ასევე, კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 115-ე მუხლით და სსკ-ს 285-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მიმდინარე გამოძიების პროცესში, პოლიციამ დეტალურად შეისწავლა უკლებლივ ყველა შეტყობინება, რომელიც შეეხებოდა სკოლის მოსწავლეების მიერ „ლურჯი ვეშაპის“ შესაძლო თამაშის ფაქტებს. ამასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურს მიეცა მითითება, თუკი რომელიმე მოსწავლეს სხეულზე რაიმე სახის დაზიანებას, მათ შორის, ნაკაწრის სახით, შეამჩნევდნენ, პოლიციისთვის ეცნობებინათ.

სამართალდამცველებმა, მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, რამდენიმე ათეული არასრულწლოვანი გამოკითხეს. გამოძიება თითოეული შეტყობინების თუ განცხადების საფუძვლიანად და სიღრმისეულად გამოძიების მიზნით, გარდა

არასრულწლოვანთა გამოკითხვისა, აქტიურად იყენებდა კვალიფიციური ფსიქოლოგების დახმარებას. ასევე, განხორციელდა არასრულწლოვნების სოციალური ქსელის პირადი პროფილების, კომპიუტერული ტექნიკისა და მობილური ტელეფონების დათვალიერება. ამასთან, მიმდინარე გამოძიების პროცესში, არაერთი სხვა კომპლექსური საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დღეის მდგომარეობით, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ქართულ ინტერნეტ სივრცეში ე.წ. ონლაინთამაშ „ლურჯი ვეშაპის“ არსებობის რეალური ფაქტი არ დადასტურებულა, – ნათქვამია განცხადებაში.

„ლურჯი ვეშაპი“ არაოფიციალური ონლაინთამაშია, რომელიც პირველად მოხსენიებული იყო რუსეთში 2013 წელს. თამაში შედგება რიგი დავალებისაგან, რომლებსაც კურატორები მოთამაშეებს აძლევენ 50-დღიანი პერიოდის განმავლობაში. უკანასკნელი დავალება, როგორც ამტკიცებენ, მოითხოვს მოთამაშის თვითმკვლელობას.

ტერმინი „ლურჯი ვეშაპი“ მომდინარეობს ნაპირზე გამორიყული ვეშაპების ფენომენისგან, რომელიც თვითმკვლელობასთანაა მიმსგავსებული.

თბილისში 20 წლამდე ახალგაზრდა სადარბაზოში ჩამომხრჩვალი იპოვეს – გარდაცვლილმა წერილი დატოვა, სადაც მშობლებს ბოდიშს უხდის

ინტერნეტთამაშის ახალი მსხვერპლი?

თბილისში, საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ სადარბაზოში, 20 წლამდე ახალგაზრდა კაცი თოკზე ჩამოკიდებული იპოვეს.

ბიჭის ცხედარი მეზობლებმა აღმოაჩინეს.

სავარაუდოდ, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა სასიკვდილო ინტერნეტთამაშის მსხვერპლი გახდა.

კორპუსის მცხოვრებლები ყვებიან, რომ ახალგაზრდამ თვითმკვლელობამდე მოკლე ტექსტური შეტყობინება ნომერზე „666“ გააგზავნა. თვითმხილველის განცხადებით, მან მოისმინა სამართალდამცავების საუბარი და ფრაზა: „ხომ გითხარი, შემდეგი ბიჭი იქნება“.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „კურიერი“ ავრცელებს.

ასევე ცნობილია, რომ გარდაცვლილმა წერილი დატოვა, სადაც მშობლებს ბოდიშს უხდის.

გარდაცვლილის ცხედარი ექსპერტიზაზეა გაგზავნილი. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას ნიშნავს.

ლაშა კურტანიძე პრეზიდენტმა შეიწყალა, ლევან როსტოშვილი ისევ ზის



ადვოკატი მალხაზ სალაყაია ადასტურებს ინფორმაციას, რომ მსახიობი ლაშა კურტანიძე პატიმრობიდან გათავისუფლდა. ადვოკატის განცხადებით, მსახიობმა შეწყალების მოთხოვნით მიმართა პრეზიდენტს და პრეზიდენტმა ის შეიწყალა.

ამ დრომდე სასჯელს იხდის კურტანიძესთან ერთად დაკავებული ყოფილი ტელეწამყვანი ლევან როსტოშვილი. უცნობია, მიმართა თუ არა მან პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით.

როსტოშვილი და კურტანიძე სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. მათ თბილისის საქალაქო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ და სასჯელის ვადა შეუმცირდათ, კერძოდ, ლევან როსტოშვილს საქალაქო სასამართლოს მიერ შეფარდებული 8-წლიანი პატიმრობა 3- წლიან რეალურ და 4-წლიან პირობით მსჯავრად შეეცვალა, ხოლო ლაშა კურტანიძეს 5-წლიანი პატიმრობის ნაცვლად 1-წლიანი რეალური და 3-წლიანი პირობითი მსჯავრი განესაზღვრა.

ადვოკატი ჩერქეზია: „გორგიას“ დირექტორ გია გორგოშაძესა და ნინო დარსალიას შორის ფულადი გაუგებრობა არსებობდა

– საქმეში ჩანს, რომ გორგოშაძესა და მის ყოფილ მეუღლეს შორის ფულადი გაუგებრობა არსებობდა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ჰიპერმარკეტ „გორგიას“ ხელმძღვანელ გია გორგოშაძის გატაცების მცდელობის საქმეზე დაკავებულების დავით ფოცხიშვილისა და თამაზ მენთეშაშვილის ადვოკატმა ნათელა ჩერქეზიამ განუცხადა.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, საქმეში ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია და იძლევა საფუძველს ითქვას, რომ ასე ხმამაღლა არ უნდა გაცხადებულიყო.

– ჩვენ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ძალიან ბევრი რამ გაზვიადებულია. აბსოლუტურად დაუსაბუთებელია ყველაფერი. ვიდეომასალის ავთენტურობა უნდა დადგინდეს. მე არ მინდა ისეთ რამეზე ვისაუბრო, რაც ჩემი საქმე არ არის, მაგრამ საქმის მასალებში ჩანს, რომ ბიზნესმენს და მის ყოფილ მეუღლეს შორის არის რაღაც ფულადი გაუგებრობა. მე არ გამოვრიცხავ, რომ საქმის მასალები იყოს სამოქალაქო დავის საქმე, – განაცხადა ადვოკატმა.

ჩერქეზია ადასტურებს, რომ გია გორგოშაძის ყოფილი მეუღლე, ნინო დარსალია, დაკითხულია.

თავის მხრივ, საქმის პროკურორ ვაჟა თოდუას ინფორმაციით, საქმეზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ისაუბრებს იმის შესახებ, იკვეთება თუ არა გორგოშაძის ყოფილი მეუღლის თანამონაწილეობის საკითხი საქმეში.

– მიმდინარეობს გამოძიება სხვადასხვა საკითხის დადგენის, მათ შორის თანამონაწილეთა დადგენის კუთხით, – განაცხადა პროკურორმა.

საქმეზე დაკავებულებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

ავარია შინდისთან – 3 წლის ბავშვი უსაფრთხოების ბალიშმა მოკლა

3 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა 14 ოქტომბერს მომხდარ ავარიას გორის მუნიციპალიტეტში.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა სოფელ შინდისთან ახლოს ორი ავტომობილის შეჯახების შედეგად მოხდა.

შეჯახების შედეგად უსაფრთხოების ბალიში გაიხსნა და მძღოლთან მჯდომმა ბავშვმა სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანება მიიღო.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 27ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო.

სპეცოპერაცია რუსთავში

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ხ.კ. ნარკოდანაშაულისთვის რუსთავში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ დაკავებულის მიერ გაყიდული, 2 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით)“, – ნათქვამია განცხადებაში.

საზღვრის უკანონოდ დარღვევისთვის ბანგლადეშის 6 მოქალაქე დააკავეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 6 პირი დააკავა.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, №2 სამმართველოს (ახალციხე) №5 სასაზღვრო სექტორის (ნიალა) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბანგლადეშის რესპუბლიკის ექვსი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.

– გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ზუგდიდში ახალგაზრდა ქალი მე-5 სართულიდან გადავარდა – „შველას ითხოვდა, აივანს იყო ჩაბღაუჭებული“

ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან ახალგაზრდა ქალი გადავარდა.

თვითმხილველების თქმით, 26 წლის ახალგაზრდა იმ სახლიდან გადმოვარდა, რომელიც ნაქირავები ჰქონდა.

ქალი, სავარაუდოდ, ქვეშაგებს ფენდა და თავი ვერ შეიმაგრა.

– შველას ითხოვდა, აივანზე იყო ჩაბღაუჭებული, პოლიციაც ავიდა, თუმცა მისი დაჭერა ვერ შეძლეს, რადგან მძიმე წონიანია, – აცხადებენ თვითმხილველები.

ქალს რეფერალურ ჰოსპიტალში შესაბამისი ღონისძიებები ჩაუტარდა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ქალი გარდაიცვალა.

მუხიანში მამაკაცი დენმა მოკლა

თბილისში, მუხიანის პირველ მიკრორაიონში, ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მამაკაცს დენმა დაარტყა და სწორედ აღნიშნული გახდა ფატალური შედეგის მიზეზი.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ავარია ქუთაისში – დაშავებულია ბავშვი

ქუთაისში, გამარჯვების მოედანზე, ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილები შეეჯახა.

მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა, დაშავებულებს შორის ერთ-ერთი მცირეწლოვანია. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

ფედერიკა მოგერინი: „აშშ ირანის ბირთვული პროგრამის შეთანხმებიდან ვერ გავა“

ტრამპის ახალ ინიციატივას ახალი სკანდალი მოჰყვა

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მზად არის, აშშ ირანის ბირთვული პროგრამის შეთანხმებიდან გამოიყვანოს ნებისმიერ მომენტში, თუ შეთანხმებაში ცვლილებები არ შევა.

მისმა ამ განცხადებამ მსოფლიოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ განაცხადა, რომ აშშ ვერ შეძლებს ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ შეთანხმების ცალმხრივად ანულირებას.

– ვერცერთი პრეზიდენტი ვერ შეძლებს საერთაშორისო შეთანხმების გაუქმებას, რომელმაც გაერო-ს მხარდაჭერა მიიღო, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა სატელევიზიო მიმართვაში.

– ეს არ არის ირანსა და აშშ-ს შორის შეთანხმება. შესაბამისად, მისი გაუქმება შეუძლებელია, – აღნიშნა მან.

ირანის პრეზიდენტმა ასევე გამორიცხა შეთანხმების პირობების ცვლილების შესაძლებლობა.

– აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს სურს შეთანხმებაში ახალი დებულებების შეტანა. თუმცა, მან არ იცის, რომ ამ შეთანხმებაში ახალი პუნქტების დამატება შეუძლებელია, – აღნიშნა ჰასან რუჰანიმ.

საპირისპირო პოზიცია აქვს ისრაელს, რომელიც მიესალმება აშშ-ის პრეზიდენტის გეგმებს. ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა.

– ტრამპი პირდაპირ და გაბედულად დაუპირისპირდა ირანის ტერორისტულ რეჟიმს და თეირანის ბირთვული პროგრამის შესახებ შეთანხმების ცვლილების, ირანის აგრესიის დასუსტებისა და თეირანის მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერისთვის დაპირისპირების შესაძლებლობა შექმნა. ისრაელი მიესალმება ამას. თითოეული ქვეყანა, რომელსაც გლობალური უსაფრთხოება და მშვიდობა აწუხებს, ანალოგიურად უნდა მოიქცეს, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ბენიამინ ნეთანიაჰუმ აღნიშნა, „თუ ირანის ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმებაში ცვლილებები არ იქნება შეტანილი, ერთი რამე აბსოლუტურად ცხადი გახდება – რამდენიმე წელიწადში ყველაზე მძლავრი ტერორისტული რეჟიმი ბირთვული იარაღის არსენალს მოიპოვებს“.

– ეს უდიდესი საფრთხეა ჩვენი საერთო მომავლისთვის, – დასძინა ისრაელის პრემიერმა.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინი კი თვლის, რომ აშშ-ს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს ირანის ბირთვული პროგრამის შეთანხმებაში მონაწილეობა.

– ეს არ არის ორმხრივი შეთანხმება. ეს შეთანხმება არავის ეკუთვნის და არცერთ ქვეყანას არ აქვს უფლება, ამ შეთანხმებიდან გამოვიდეს, – ნათქვამია ფედერიკა მოგერინის განცხადებაში.

ფედერიკა მოგერინის თქმით, აღნიშნული შეთანხმება საიმედოა და ის მუშაობს.

– ჩვენ ვერ მივცემთ ჩვენს თავს ამ შეთანხმების განადგურების უფლებას. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ეს შეთანხმება მომავალშიც აღკვეთს ირანის მიერ ბირთვული იარაღის განვითარებას, – განმარტა მან.

ფედერიკა მოგერინიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირი საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად განაგრძობს ამ შეთანხმების სრულ მხარდაჭერას.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს“ სანქციები დაუწესა

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“ იმ პირებისა და ორგანიზაციების სიაში შეიტანა, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობას ეწევიან ან მხარდაჭერას უწევენ ტერორისტულ ორგანიზაციებს.

ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მასში აღნიშნულია, რომ „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“ მხარს უჭერს რიგ ტერორისტულ ორგანიზაციებს, მათ შორის: „ჰეზბოლასა“ და „ჰამასს“, ასევე „თალიბანს“.

– „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რომ ირანი მსოფლიოს ტერორიზმის მთავარი დამფინანსებელი სახელმწიფო გახდა. ირანის მისწრაფება გავლენის გაფართოებისკენ რეგიონში სტაბილურობის ხარჯზე ხდება და ფინანსთა სამინისტრო განაგრძობს თავისი უფლებამოსილების გამოყენებას, რათა ჩაახშოს „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ დესტრუქციული საქმიანობა, – განაცხადა აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სტივენ მნაჩინმა.

„ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“ ირანის ელიტური სამხედრო დანაყოფია, რომელიც უშუალოდ ირანის უზენაეს ლიდერ აიათოლა ალი ხამენეის ექვემდებარება.

ის 1979 წელს დაარსდა ირანში ისლამური რევოლუციის შემდეგ.

აშშ-ის მთავრობის შეფასებით, „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“ ირანის ეკონომიკის 50%-ს აკონტროლებს.

გუჩი ბეწვეულზე უარს ამბობს

მოდის სახლი გუჩი ბეწვეულის გამოყენებაზე უარს ამბობს და გაწევრიანდა ორგანიზაციაში „ბეწვეულისგან თავისუფალი ალიანსი“, რომელიც იმედოვნებს, რომ ტყავისა და ბეწვეულისთვის ცხოველების დახოცვას ბოლოს მოუღებს.

აღნიშნული ინიციატივა კომპანიის აღმასრულებელ დირექტორსა და პრეზიდენტ მარკო ბიზარის ეკუთვნის.

– ვფიქრობ, რომ ეს (ბეწვეულის გამოყენება) თანამედროვე აღარაა და ეს არის იმის მიზეზი, რომლის გამოც გადავწყვიტეთ, რომ ასე მოვქცეულიყავით, – განაცხადა ბიზარიმ, – ეს ყოველივე უკვე მოძველდა. შემოქმედებით აზროვნებას სხვა ბევრი მიმართულება აქვს და ის ბეწვეულს არ უკავშირდება.

ნატურალურ ბეწვეულზე უარის თქმის გადაწყვეტილება მარკის კრეატიულ დირექტორ ალესანდრო მიკელესთან ერთად იქნა მიღებული. მისი აზრით, მისი გამოყენების შეწყვეტა ნიშნავს ყურადღების გადატანას ტრენდებსა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე. ასე რომ, ამიერიდან მოდის სახლი, რომლის ერთ-ერთ ცნობად პროდუქტს ბეწვეულით გაწყობილი ფეხსაცმელი წარმოადგენდა, ხელოვნური ბეწვეულის, ქსოვილისა და მაღალტექნოლოგიური მასალების გამოყენებაზე გადადის.

კალეიდოსკოპი

პრინცი ჰარი და მეგან მარკლი ნიშნობისთვის ემზადებიან

დიდი ბრიტანეთის პრინცი ჰარი და მისი შეყვარებული, ამერიკელი მსახიობი მეგან მარკლი ნიშნობის თაობაზე განცხადების გასაკეთებლად ემზადებიან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთ პორტალი საკუთარ ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც პრინც ჰარის გარემოცვასთან დაახლოებულმა წყარომ განაცხადა, ელისაბედ II-ის შვილიშვილი აპირებს, ნიშნობის თაობაზე პირველ რიგში ოჯახის

წევრებს ესაუბროს, „რათა დატკბეს ამ მომენტით, სანამ ეს ახალი ამბავი გახმაურდება“. ამავე დროს, მეგან მარკლისთან დაახლოებულმა წყარომ განაცხადა, რომ ნიშნობის თაობაზე ინფორმაცია „მალე“ გავრცელდება.

სავარაუდოდ, პრინც ჰარისა და მეგანი მარკლის მომავალი ქორწილის თაობაზე განცხადება მიმდინარე წლის ნოემბერში გაკეთდება, როდესაც სერიალ „ფორსმაჟორის“ ბოლო, მეშვიდე სეზონის, გადაღება დასრულდება, რომელშიც მსახიობი მთავარ როლს თამაშობს.

მელანია ტრამპი დიდი ბრიტანეთის ყოფილი პირველი ლედის კაბაში გამოეწყო

მელანია ტრამპი საზოგადოების წინაშე წარდგა ბრენდ Cefinn-ს კაბით, რომელიც სამანტა კემერონს, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის დევიდ კემერონის მეუღლეს ეკუთვნის.

აშშ-ის პირველი ლედი პირველად წარდგა საზოგადოების წინაშე ბრენდის სამოსში გამოწყობილი, რომელიც ელიტურს არ განეკუთვნება. ჩვეულებრივ ის ამერიკული მარკის სამოსს ანიჭებს უპირატესობას, კერძოდ, Michael Kors-ს და Ralph Lauren-ს, რომელთა ჩასაცმელებზე ფასები ოთხნიშნა რიცხვს აღწევს. ბრიტანული ბრენდის მწვანე კაბა-პერანგი 450 დოლარი ღირს და აღსანიშნავია, რომ ამავე დროს მელანიას ფეხზე ეცვა 1395-დოლარიანი Christian Louboutin-ის ფეხსაცმელი.

ბრენდი Cefinn დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მეუღლე სამანტა კემერონმა 2017 წლის თებერვალში დააარსა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკური), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდები თ. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიანკუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ტორპედო ლიდერს მიუახლოვდა

ტორპედო-შუქურა 3:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0, 2:0 კუტალია (30, 51), 3:0 ქიმაძე (59), 3:1 ჩაგელიშვილი (85)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, გ.გურული, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, კუხიანიძე (ბაბუნაშვილი 78), კუტალია, დოლიძე, კუჭუხიძე (გიგაური 65), კაპანაძე (ბერიაშვილი 72)

შუქურა: სომხიშვილი, ჩაჩუა (პომაზანი 63), ჩადუნელი, გოგიტიძე, დასე, მარსელინიო, ჯეფინიო (მალაზონია 76), კლიმიაშვილი, ჰანი (შალამბერიძე 58), ა.გურული, ჩაგელიშვილი

ქუთაისის ტორპედომ 3:1 მოუგო ბოლოადგილოსან ქობულეთის შუქურას და საჩემპიონო რბოლას აგრძელებს.

ქობულეთელთა წინააღმდეგ დუბლი მიითვალა შუქურას ყოფილმა ფეხბურთელმა ლევან კუტალიამ. ქუთაისელთა შემტევმა ჯერ მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს დაამატა, შემდეგ კი გრიგოლ დოლიძის გამჭოლ პასს ჩაუსაფრდა შორეულ ძელთან.

კუტალიას გოლებს შორის, უფრო სწორად კი მეორე ტაიმის დასაწყისშივე შუქურას ჩინელ ლეგიონერ ტიან ლინს იდეალური მომენტი შეექმნა, მაგრამ მისი ახლოდან დარტყმული ბურთი როინ კვასხვაძემ მოიგერია.

არადა, ეს გოლი რომ გასულიყო და ანგარიში გათანაბრებულიყო, არავინ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

მალევე ტორპედომ მესამე გოლიც გაიტანა: გიორგი ქიმაძემ მცველებს გაეპარათ, გუგა ფალავანდიშვილმაც პასი არ დაუგვიანა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ტექნიკურად დაარტყა – 3:0.

ქობულეთელებმა ბოლოს მაინც მოახერხეს პრესტიჟის გოლის გატანა: მარსელინიოს პასით დავით ჩაგელიშვილმა იხეირა – 3:1.

ჩიხურა – სამტრედია 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 გორგიაშვილი (54), 1:1 ოლაიტანი (61), 1:2 მჭედლიშვილი (89)

ჩიხურა: ჰამზიჩი, თორ.გრიგალაშვილი, კაშია, მირცხულავა, კორიფაძე, დობროვოლსკი (განუგრავა 75), სარდალიშვილი (ფონიავა 63), გაბედავა, გორგიაშვილი, ივანიშვილი (დეკანოიძე 75), ტატანაშვილი

სამტრედია: მიგინეიშვილი, მთივლიშვილი, კასრაძე, სანდოხაძე, ახალაძე (მჭედლიშვილი 80), დათუნაიშვილი, მანჯგალაძე, მარკოზაშვილი (ბალდე 54), ოლაიტანი (სამუშია 90), რაჟამაშვილი, გიი

დაძაბული და საინტერესო მატჩის ბედი 89-ე წუთზე გადაწყდა და სამტრედიელთა გამარჯვებით დასრულდა. არადა, თითქმის საათი ჩიხურა ისე თამაშობდა, რომ მათ წაგებას ვერავინ იფიქრებდა. სამტრედიამ მოიგო და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. ჩიხურამ კი, ზედიზედ მესამე თამაში წააგო.

პირველ ტაიმში ჩიხურა უკეთ გამოიყურებოდა და ყველაფერს აკონტროლებდა. ერთია, სახიფათო მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა თორნიკე გორგიაშვილმა საჯარიმოს გარედან მშვენიერი გოლი გაიტანა.

გატანილი გოლის შემდეგ ჩიხურამ საქმე მოთავებულად ჩათვალა და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი, ტერიტორია დათმო და სამტრედიამაც მოუმატა. მალე კი „აფრიკულად“ გაათანაბრა – ინტერს გიის პასით მაიკლ ოლაიტანი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ჭვინტით გაიტანა და ნიგერიელმა შემტევმა საქართველოს ჩემპიონატში გოლების ანგარიში გახსნა.

89-ე წუთზე კი გიორგი მჭედლიშვილმა სამტრედიელებს 3 ქულა მოუტანა – მარჯვენა მცველმა შორიდან ცხრიანში გაგზავნა ბურთი – 1:2.

დინამო (ბთ)-დილა 1:0

ბათუმი. რაგბი არენა

1:0 გრიგალაშვილი (57)

დინამო: ტიმოფეევი, ფარტენაძე, ქორიძე, მგელაძე, სუხიაშვილი, შონია, არზიანი (ქავთარაძე 85), ე.გრიგალაშვილი, ტვილდიანი, კვასოვი (არზიანი 66), მარცვალაძე (ფლამარიონი 74)

დილა: მუჯრიშვილი, მაჩაიძე, კვახაძე, აბუბაქარი, პედრინიო (პაპავა 46), რაზმაძე (ნუბიო 64), ნონიკაშვილი (გოგატიშვილი 74), მორასი, კირკიტაძე, წიქარიძე, ფანცულაია

გაძევება: მაჩაიძე (89)

რომ იტყვიან 6-ქულიანი მატჩი იყო. ამ ტურამდე დილა 5 ქულით უსწრებდა ბათუმის დინამოს და კიდევ ერთი გამარჯვების შემთხვევაში პრაქტიკულად გაინაღდებდა ელიტაში დარჩენას. ცხადია, მოვლენების ასეთი განვითარება ხელს არ აძლევდა ზღვისპირელებს და, მიუხედავად იმისა, რომ საწყის წუთებში დილა უკეთ გამოიყურებოდა, მაინც მოახერხა უმნიშვნელოვანესი 3 ქულის აღება.

ერთადერთი გოლი ელგუჯა გრიგალაშვილის შორეულ დარტყმას მოჰყვა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	28	18	5	5	66-24	59
2.ტორპედო	29	17	7	5	45-22	58
3.სამტრედია	29	16	7	6	46-31	55
4.ლოკომოტივი	28	15	3	10	53-35	48
5.საბურთალო	28	13	4	11	44-33	43
6.ჩიხურა	29	12	4	13	35-46	40
7.დილა	29	9	7	13	34-41	34
8.დინამო (ბთ)	29	10	2	17	25-45	32
9.კოლხეთი	28	4	8	16	24-51	20
10.შუქურა	29	2	7	20	28-72	13

ბათუმს იტალიაში კლასი არ ეყო

საქართველოს ვიცეჩემპიონმა ბათუმმა ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარის“ საგებიუტო მატჩში იტალიაში როვიგოს 4 ლელო დაუდო, მხოლოდ 4 ქულის სხვაობით ჩამორჩა (27:31) და შინ 2 სატურნირო ქულით ბრუნდება.

ტურნირის დებიუტანტისთვის გამოცდილ მეტოქესთან ეს სავსებით მისაღები შედეგია, თუმცა პირველი ტაიმიდან გამომდინარე მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. ზღვისპირელებმა შესვენებამდე 3 ლელო გაიტანეს და 22:10 დაწინაურდნენ, მაგრამ შესვენების შემდეგ შეცდომები დაუშვეს და 20 წუთში 3 გარდასახული ლელო მიიღეს.

ანგარიში ბათუმმა გახსნა. შერკინებაში მეტოქის დაჯაბნის შემდეგ მასპინძელთა ნახევარზე გადავედით, როვიგო რაქში დაჯარიმდა და ბახვა კობახიძემ კარის წინ 40 მეტრიდან გაიტანა. იტალიელებმა პასუხის გაცემა სცადეს, მით უმეტეს, რომ ხვიჩა ბუჯიაშვილის სინბინის შემდეგ მოედანზე კაცნაკლულები დავრჩით, მაგრამ თავი დავიცავით და მალე უმცირესობაში ლელო იქით გავიტანეთ.

ხანგრძლივი შეტევისას ფაზები კარგად აეწყო, მორკინალებმა მეტოქე დაამუშავეს და ბურთი ხაზზე რომ გაიშალა იერიში მეტოქის წითელ ზოლში შეჩერდა, სადაც ბექა მამრიკიშვილმა იყოჩაღა და ბურთი მეტოქის ლელოში შეიტანა. სამწუხაროდ, საშუალო სირთულის გარდასახვა არაზუსტი იყო.

მალე გიორგი თხილაიშვილმა როვიგო მეორედ დაალელოვა, ხოლო კობახიძემ გარდასახა და ბათუმი 15:0 დაწინაურდა.

შესვენებამდე გუნდებმა თითო გარდასახული ლელო გაცვალეს. როვიგომ ლელოს ზუსტი გარდასახვა მიაყოლა, მერე ჯარიმაც გაიტანა და სხვაობა 5 ქულამდე დავიდა, თუმცა ტაიმის ბოლოს ბათუმის კარგი იერიში ლაშა ხმალაძის ლელოთი დასრულდა, ხოლო კობახიძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ტაიმი 22:10 დასრულდა.

მეორე ტაიმის დებიუტში იტალიელები 10 წუთით კაცნაკლულები დარჩნენ, მაგრამ ამან ბათუმს დათვური სამსახური გაუწია. გუნდი მოეშვა და 3 ლელო გაუშვა: 2-ჯერ მასპინძლებმა დერეფნიდან მოლი დააყენეს, მერე ბურთი მოკლე ფრთაზე გაიტანეს და სწრაფი გარემარბი ვერავინ შეაჩერა, ხოლო ერთხელ ხაზი მოედნის ცენტრში გაიჭრა – 22:31.

ბათუმმა კარგი შეტევით უპასუხა, იტალიელთა დაცვის ხაზი ორჯერ გაიჭრა, ფეხით გადაკიდებულს ორი შემტევი მიყვა და მცველმა წნეხის ქვეშ ბურთი საკუთარ ლელოში დაამიწა. 5-მეტრიან წყვეტილთან დანიშნულ შერკინებაში ბათუმელებმა იმძლავრეს, ბუჯიაშვილმა ბურთი აიტაცა და მცველთან ჭიდილში ლელოში დაამიწა. სამწუხაროდ გარდასახვა არაზუსტი იყო, დარჩენილ 10-12 წუთში გამარჯვების ლელოს გატანა ვერ მოხერხდა და გამარჯვება როვიგოს დარჩა – 31:27.

ერთ კვირაში ბათუმი „კონტინენტის ფარზე“ პირველ საშინაო შეხვედრას გამართავს და ბათუმში გერმანულ ჰაიდელბერგს დაუხვდება, რომელმაც იტალიური კალვიზანო 23:19 დაამარცხა. მატჩი 21 ოქტომბერს, 15 საათზე დაიწყება.

საკალათბურთო სუპერლიგა დაიწყო

საქართველოს 27-ე ეროვნულ ჩემპიონატში 9 გუნდი მონაწილეობს, რომელთაგან პირველ დღეს გათამაშებაში 6 ჩაერთო.

სანამ მატჩების შესახებ გეტყოდეთ, აღვნიშნავთ, რომ სუპერლიგის გათამაშების ფორმატი შეიცვალა. წინა სეზონში პლეი ოფში 4 გუნდი გადიოდა, მიმდინარე სუპერლიგაში კი 4 წრის შემდეგ ჩემპიონობისთვის ბრძოლას პლეი ოფიდან 8 საუკეთესო გუნდი განაგრძობს.

დინამო-დელტა 87:63

(19:16, 26:12, 22:12, 20:23)

ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში ერთმანეთს ჩემპიონი დინამო და სუპერლიგის დებიუტანტი მარნეულის დელტა დაუპირისპირდნენ. ქვემოქართლურმა გუნდმა გასულ სეზონში ა ლიგა მოიგო და სუპერლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

მარნეულელები დინამოს წინააღმდეგ უძლურნი აღმოჩნდნენ. ევროთასზე მოასპარეზე დინამოელებმა ლიგის დებიუტანტს წარმატების შანსი არ მისცეს და 24 ქულით – 87:64 დაამარცხეს.

გამარჯვებულებს 15 ქულით გიორგი შარაბიძემ ულიდერა. 13 ქულა დააგროვა კაელ ტურპინმა, ხოლო გუნდის კაპიტანმა ილია ლონდარიძემ 11 ქულას უწია. მარნეულელთაგან 14 ქულით საუკეთესო იყო არტიომ შვეცი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

14 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისის პრემიერლიგა

ლივერპული-მანჩესტერი 0:0
ბარნლი-ვესტ ჰემი 1:1
კრ.პალასი-ჩელსი 2:1
სიტი-სტოკი 7:2
სუონსი-ჰადერსფილდი 2:0
ტოტენჰემი-ბორნმუთი 1:0
უოტფორდი-არსენალი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	8	7	1	0	29-4	22
2.მანჩესტერი	8	6	2	0	21-2	20
3.ტოტენჰემი	8	5	2	1	15-5	17
4.უოტფორდი	8	4	3	1	13-13	15
5.ჩელსი	8	4	1	3	13-8	13
6.არსენალი	8	4	1	3	12-10	13
7.ბარნლი	8	3	4	1	8-6	13
8.ლივერპული	8	3	4	1	13-12	13
9.ნიუკასლი	7	3	1	3	7-6	10
10.ვესტ ბრომვიჩი	7	2	3	2	6-8	9
11.ჰადერსფილდი	8	2	3	3	5-9	9
12.საუთჰემპტონი	7	2	2	3	5-7	8
13.სუონსი	8	2	2	4	5-8	8
14.ვესტ ჰემი	8	2	2	4	8-14	8
15.სტოკი	8	2	2	4	9-18	8
16.ბრაიტონი	7	2	1	4	5-9	7
17.ევერტონი	7	2	1	4	4-12	7
18.ლესტერი	7	1	2	4	9-12	5
19.ბორნმუთი	8	1	1	6	4-12	4
20.კრ.პალასი	8	1	0	7	2-18	3

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-მიდლსბრო 2:2
ბოლტონი-უენსდი 2:1
ბრენტფორდი-მილუოლი 1:0
ლიდსი-რედინგი 0:1
ნორვიჩი-ჰალი 1:1
სანდერლენდი-ქარ 1:1
ფულემი-პრესტონი 2:2
შეფილდი-იფსვიჩი 1:0
ვულვზი-ასტონ ვილა 2:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-სევილია 1:0
ხეტაფე-რეალი 1:2
ალავესი-სოსიედადი 0:2
ატლეტიკო-ბარსელონა 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	8	7	1	0	24-3	22
2.რეალი	8	5	2	1	15-7	17
3.ატლეტიკო	8	4	4	0	13-5	16
4.სევილია	8	5	1	2	9-4	16
5.ვალენსია	7	4	3	0	15-7	15
6.ბეტისი	7	4	1	2	14-11	13
7.სოსიედადი	8	4	1	3	19-17	13
8.ლეგანესი	7	3	2	2	5-3	11
9.ბილბაო	8	3	2	3	10-9	11
10.ვილიარეალი	7	3	1	3	9-9	10
11.ლევანტე	8	2	4	2	8-10	10
12.ესპანიოლი	8	2	3	3	7-11	9
13.სელტა	7	2	2	3	13-11	8
14.ხეტაფე	8	2	2	4	10-9	8
15.დეპორტივო	7	2	1	4	9-16	7
16.ხირონა	7	1	3	3	6-11	6
17.ლას პალმასი	7	2	0	5	5-13	6
18.ეიბარი	7	2	0	5	3-17	6
19.ალავესი	8	1	0	7	3-12	3
20.მალაგა	7	0	1	6	4-16	1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კადისი-ლეონესა 2:2
ბარსელონა ბ-ლორკა 1:0
გრანადა-ოვიედო 2:0
ტენერიფე-ნუმანსია 1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ფრაიბურგი 5:0
ჰანოვერი-აინტრახტი 1:2
ჰერტა-შალკე 0:2
მაინცი-ჰამბურგი 3:2
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი 2:2
დორტმუნდი-ლაიფციგი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	8	6	1	1	23-5	19
2.ბაიერნი	8	5	2	1	21-7	17
3.ლაიპციგი	8	5	1	2	15-10	16
4.ჰოფენჰაიმი	8	4	3	1	15-10	15
5.შალკე	8	4	1	3	10-9	13
6.აინტრახტი	8	4	1	3	8-7	13
7.აუგსბურგი	8	3	3	2	11-8	12
8.ჰანოვერი	8	3	3	2	8-6	12
9.გლადბახი	7	3	2	2	10-12	11
10.მაინცი	8	3	1	4	10-13	10
11.შტუტგარტი	8	3	1	4	6-10	10
12.ჰერტა	8	2	3	3	8-10	9
13.ლევერკუზენი	7	2	2	3	13-11	8
14.ვოლფსბურგი	7	1	4	2	6-9	7
15.ჰამბურგი	8	2	1	5	6-14	7
16.ფრაიბურგი	8	1	4	3	5-16	7
17.ვერდერი	7	0	4	3	3-7	4
18.კიოლნი	8	0	1	7	3-17	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ფორტუნა 0:2
ბოხუმი-ზანდჰაუზენი 2:0
დინამო-ინგოლშტადი 2:2

იტალია. სერია ა

იუვენტუსი-ლაციო 1:2
რომა-ნაპოლი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	8	8	0	0	26-5	24
2.ინტერი	7	6	1	0	14-3	19
3.იუვენტუსი	8	6	1	1	21-7	19
4.ლაციო	8	6	1	1	21-10	19
5.რომა	7	5	0	2	14-5	15
6.ტორინო	7	3	3	1	12-11	12
7.მილანი	7	4	0	3	10-10	12
8.სამპდორია	6	3	2	1	8-8	11
9.კიევო	7	3	2	2	9-9	11
10.ბოლონია	7	3	2	2	6-7	11
11.ატალანტა	7	2	3	2	12-10	9
12.ფიორენტინა	7	2	1	4	10-10	7
13.უდინეზე	7	2	0	5	12-13	6
14.კალიარი	7	2	0	5	4-11	6
15.სპალი	7	1	2	4	6-12	5
16.კროტონე	7	1	2	4	4-12	5
17.სასუოლო	7	1	1	5	4-15	4
18.ვერონა	7	0	3	4	3-16	3
19.ჯენოა	7	0	2	5	5-11	2
20.ბენევენტო	7	0	0	7	2-18	0

იტალია. სერია ბ

ასკოლი-ვენეცია 3:3
ბრეშა-ნოვარა 0:1
კარპი-ჩეზენა 2:1
პარმა-პესკარა 0:1
პრო ვერჩელი-ბარი 2:2
ტერნანა-სპეცია 4:2
ფროზინონე-პალერმო 0:0
ჩიტადელა-კრემონეზე 1:2

საფრანგეთი. 1 დივიზიონი

დიჟონი-პსჟ 1:2
გენგამი-რენი 2:0
კაენი-ანჟე 0:2
ლილი-ტრუა 2:2
სტ.ეტიენი-მეცი 3:1
ტულუზა-ამიენი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	9	8	1	0	29-6	25
2.მონაკო	9	6	1	2	24-12	19
3.სტ.ეტიენი	9	5	2	2	13-9	17
4.ლიონი	9	4	4	1	20-15	16
5.მარსელი	8	5	1	2	15-12	16
6.ნანტი	8	5	1	2	6-5	16
7.ბორდო	8	4	3	1	15-13	15
8.კაენი	9	5	0	4	7-6	15
9.გენგამი	9	4	1	4	11-12	13
10.ანჟე	9	2	6	1	14-11	12
11.ტრუა	9	3	3	3	9-9	12
12.ტულუზა	9	3	2	4	10-15	11
13.ნიცა	8	3	1	4	12-12	10
14.მონპელიე	8	2	3	3	5-6	9
15.რენი	9	1	3	5	11-15	6
16.ლილი	8	1	3	4	6-13	6
17.ამიენი	8	2	0	6	4-11	6
18.დიჟონი	9	1	3	5	11-19	6
19.სტრასბური	8	1	2	5	6-14	5
20.მეცი	9	1	0	8	4-17	3

საფრანგეთი. მე-2 დივიზიონი

კლერმონი-ლე ავრი 3:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

აიაქსი-სპარტა 4:0
როდა-ბრედა 1:0
უტრეხტი-ჰერენვენი 3:1
ფეინოორდი-ზვოლე 0:0

ჩეხეთი. პრემიერლიგა

დინამო-სკა ენერგია 2:0
ურალი-ანჟი 2:1
კრასნოდარი-ცსკა 0:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-იანგ ბოიზი 2:1
ლუგანო-ბაზელი 0:4

მოტინდია. პრემიერლიგა

ჰამილტონი-მოზერველი 1:2
პარტიკი-კილმანროკი 0:2
როსი-ჰართსი 1:2
სელტიკი-დანდი 1:0
ჰიბერნიანი-აბერდინი 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-ზალცბურგი 1:3
ვოლფსბერგერი-მატერსბურგი 2:2
ალტახი-ადმირა 2:2
რაპიდი-სტ.პოლენი 1:0

ბელგია. ა დივიზიონი

შარლერუა-ეუპენი 2:2
გენკი-მუსკრონი 1:1
ლოკერენი-სტ.ტრუიდენი 1:1
გენტი-ბევერენი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-პლატანიასი 3:1
ატრომიტოსი-ასტერასი 1:0
პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი 3:4

თურქეთი. სუპერლიგა

ქარაბუქი-ქაისერი 1:0
ანთალია-გიოზთეფე 1:3
ბაშაქშეჰირი-ალანია 2:1
ქონია-გალათასარაი 0:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბრნო-სლოვაცკო 2:1
ზლინი-იიჰლავა 2:1
ბოლესლავი-ტეპლიცე 2:2
სიგმა-იაბლონეცი 0:0
ლიბერეცი-დუკლა 3:0
კარვინა-სლავია 0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პიასტი-სანდეცია 2:2
ნეცეჩა-არკა 1:1
სლასკი-ვისლა 0:2

უკრაინა. პრემიერლიგა

ვერესი-მარიუპოლი 1:1
სტალი-ზორია 0:1

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-რანდერსი 3:2

რანდერსის პირველი გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

შვედეთი. აღსვენსკა

ჰალმშტადი-გიოტებორგი 1:2
ჰაკენი-ესკილსტუნა 3:0
ესტერსტუნდი-იორებრო 3:0

ნორვეგია. ეროვნული

ტრომსო-რუსენბორგი 0:3
სტრომგოდსეტი-ოდ გრელანდი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საკალათბურთო სუპერლიგა დაიწყო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ოლიმპი-ძუთაისი 84:78
(21:14, 24:18, 25:23, 14:23)

ამ გუნდებს შორის საინტერესო ბრძოლა გაიმართა. გასული სეზონის ვერცხლის მედალოსანმა ქუთაისმა მარცხი განიცადა. ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა ჩინებულად ითამაშეს და სუპერლიგა გამარჯვებით დაიწყეს.

ოლიმპს ულიდერა ამერიკელმა მარკ ოგდენმა, რომელმაც 20 ქულა და 6 ჩაჭრა მიითვალა. 18 ქულით გამოირჩა მიხეილ ჭოჭუა, გივი ბაქრაძემ კი შეხვედრა 10 ქულით დაასრულა. ქუთაისში 18 ქულით საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი, ხოლო 14 ქულა აკაკი ლომოურის ანგარიშზე დაგროვდა.

მგზავრები-რუსთავი 69:97
(10:27, 19:20, 16:24, 24:26)

რუსთავმა იოლი გამარჯვება მოიპოვა მგზავრების წინააღმდეგ. ქვემოქართლურმა გუნდმა თავიდანვე მოიპოვა სოლიდური უპირატესობა, რის შემდეგაც ლიდერობას პერმანენტულად ზრდიდა და საბოლოოდ 28 ქულის სხვაობით – 97:69 იმარჯვა.

რუსთაველთაგან 24 ქულით საუკეთესო იყო ტაირელ ნელსონი, გუნდის კაპიტანმა ლევან ცეკვავამ კი 17 ქულა მიითვალა. მგზავრებში 23 ქულით კახაბერ ჯინჭარაძე გამოირჩა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ვიეტნამში წყალდიდობას ათასობით ღორი ემსხვერპლა

ვიეტნამში ათასობით ღორი დაიღუპა მას შემდეგ, რაც წყალდიდობის შედეგად ღორის ფერმა დაიტბორა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

იუთუბიზე გამოქვეყნებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ დაცურავენ ცხოველები ტალახიან წყალში და თავის გადარჩენას ცდილობენ. მხოლოდ 100 ღორის გადარჩენა მოხერხდა.

წყალდიდობის შედეგად, რომელიც ვიეტნამის პროვინციებს ტხანხოას, ნგეანსა და ხატინს დაატყდა თავს, ხუთი ათასზე მეტი ოჯახის ევაკუაცია განხორციელდა. სტიქიას 54 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 39 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ლონდონელი მოსწავლე ერთ საათში სამჯერ გააუპატიურეს

17 წლის ლონდონელი გოგონა, რომელიც სახლში კლუბიდან ბრუნდებოდა, ერთი საათის განმავლობაში სამჯერ გააუპატიურეს. ამ ინფორმაციას ლონდონის პოლიციის პრესსამსახური ავრცელებს.

კლუბიდან სახლში მიმავალ გოგონაზე პირველი თავდასხმა 23:55 საათზე განხორციელდა. მალევე მეზობელ ქუჩაზე სათვალთვალო კამერამ წვეროსანი ველოსიპედისტი დააფიქსირა, რომელიც გოგონას მისდევდა, რომელიც პირველი გაუპატიურების შემდეგ სახლისკენ მიდიოდა.

დაახლოებით 00:45 საათზე გოგონას მესამედ დაესხნენ თავს. გამომძიებლების ვარაუდით, გაუპატიურებაში ორი ან სამი მამაკაცი მონაწილეობდა.

დამნაშავეების მიმალვიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გამვლელებმა ქუჩაში მწოლიარე გოგონა შენიშნეს და პოლიცია გამოიძახეს.

თევზი მეთევზეს პირში შეუძვრა



თევზი პირში შეუძვრა მეთევზეს, რომელმაც ის დაიჭირა და მისთვის კოცნა დააპირა. სასუნთქ არხში გაჭედილმა თევზმა გულის გაჩერება გამოიწვია. მამაკაცის გადარჩენა სასწრაფო სამედიცინო დახმარების წყალობით მოხერხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, თევზი ქამბალასებრთა ოჯახს განეკუთვნება. 28 წლის მეთევზემ მისი დაჭერის შემდეგ მისთვის კოცნა გადაწყვიტა, მაგრამ ხელში ვეღარ შეიმაგრა და თევზი პირში შეუძვრა. ამის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცმა გონება დაკარგა და სუნთქვა შეწყვიტა. ეს ზღვის კურორტ ბოსკომბის ნავმისადგომზე მოხდა, რომელიც ქალაქ ბორნმუთის გარეუბანში მდებარეობს. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მამაკაცს ადგილობრივი საზღვაო კლუბის წევრებმა აღმოუჩინეს, სანამ შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარება მივიდოდა.

ექიმების თქმით, შემთხვევის ადგილზე სწრაფად მისულებს, ახალგაზრდა მამაკაცის გადასარჩენად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოეყვანათ მისი ყელიდან იქ გაჩხერილი თევზი. ამისთვის ექიმებმა მაშები გამოიყენეს, თუმცა არსებობდა იმის რისკი, რომ თევზი გასხლტებოდა და უფრო ღრმად გაიჩხირებოდა ყელში, ან მას მხოლოდ მცირე ნაჭერი მოძვრებოდა. ამ შემთხვევაში უკვე მისი დახმარება შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ექიმებმა თევზის ამოყვანა შეძლეს და ახალგაზრდას სამ წუთში აღუდგინეს გულისცემა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანელმა ქალმა ქმარს ღალატისთვის ძაღლის ფეკალიები ესროლა

56 წლის ბრიტანელმა ქალმა მას შემდეგ, როდესაც ყოფილი ქმრის ღალატის შესახებ შეიტყო, შურისძიება გადაწყვიტა.

ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ უიტსტეიბლის მცხოვრებმა დებორა ადამსმა მეუღლის უპატიოსნობაში ეჭვი მას შემდეგ შეიტანა, როდესაც საკრედიტო ბარათზე გვერდით მდებარე სასტუმროს ანგარიშები ნახა. მოგვიანებით მან კომპიუტერში საიდუმლო განყოფილება აღმოაჩინა და გაარკვია, რომ მისი მეუღლე ჯოფრი მილკრისტონი, რომელთანაც 11 წელი იმყოფებოდა ქორწინებაში, მათი თანაცხოვრების განმავლობაში 200 მეძავთან იყო ნამყოფი.

მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისთვის ქმართან განქორწინების პროცესი მიმდინარეობდა, ქალმა მეუღლის დატერორება დაიწყო. ორი თვის განმავლობაში მას შეურაცხმყოფელი შინაარსის ათას ხუთასამდე სმს გაუგზავნა, კერძოდ, მას აინტერესებდა, თუ რატომ მისცა მან მეძავს უფლება, მისი ერთ-ერთი სექსსათამაშოთი ესარგებლა. გარდა ამისა, მან მეუღლის კოლეგას გაუგზავნა წერილი, რომელზეც მისი მეუღლის შიშველი ფოტოსურათი იყო მიმაგრებული, შეურაცხმყოფელი კომენტარებით.

ქალის მიერ მეუღლის დევნის კულმინაციად იქცა მისთვის ძაღლის ფეკალიების სროლა, რის შემდეგაც, მამაკაცმა სასამართლოს მიმართა. სასამართლომ ადამსს თავის მსხვერპლთან მიახლოვება აუკრძალა, 150 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა და 850 ფუნტი სტერლინგის გადახდა დააკისრა. ამ ვერდიქტის კომენტირებისას ქალმა განაცხადა, მას რომ მეუღლისთვის ტკივილის მიყენება სდომოდა, გენიტალიებს მოაჭრიდა და მათ საყურეების მაგივრად ატარებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



1. ფარული დაცინვა; 2. იაპონური თეატრი; 3. „... ვხედავ მზეს“; 4. შავი ზღვისპირა კურორტი; 5. რტო; 6. ... ზოლა; 7. რ.ჩხიკვაძის სცენური როლი; 8. ... ჩიბურდანიძე; 9. რძის პროდუქტი; 10. ნაკურთხი წყალი; 11. ფრანგი მწერალი (XXI ს.); 12. ერთეული ვექტორი; 13. ხელოვნური ენა; 14. რამდენიმე წყვილის ფრანგული ცეკვა; 15. ს.თაყაიშვილის კინოროლი; 16. ისრის წვერი; 17. გერმანელი ასტრონომი (1791-1865); 18. ივლისი; 19. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 20. კოლხი მედეას დედა; 21. საკიდარი ქვაბი; 22. ... ტაიმანოვი (მოჭადრაკე); 23. უძველესი ინდური ეპოპეა; 24. სპორტული ცურვის სტილი; 25. მუდმივა: 314; 26. „... და მარგარიტა“; 27. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 28. პარკოსანი მცენარე; 29. პერუელი ინკების კვანძოვანი დამწერლობა; 30. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 31. მაუგლის მეგობარი პითონი; 32. რისამე დედააზრი; 33. ძველ ეგვიპტელთა საწერი მასალა; 34. იმთავითვე, ცდის გარეშე; 35. ტროპიკული ხე სურნელოვანი ნაყოფით; 36. ბოლო ნოტი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მიზერი; 2. იანძი; 3. ბრიუგე; 4. ოდეონი; 6. შტრაუსი; 9. იუანი; 11. რიტუალი; 15. რეგისტანი; 16. ბენელი; 17. ბიურგერი; 19. აბსურდი; 21. ჰამლეტი; 22. ანდები.

თარაზულად: 5. ვიბრაცია; 7. ტრამვაია; 8. მელაძე; 10. რუბრიკა; 12. ნავთი; 13. კლიშე; 14. მონორელსი; 18. გაუდა; 20. შერიფი; 23. ენისეი; 24. მესი; 25. მალაგა; 26. ბონი; 27. ოტიატრი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბარითმია; 8. ტიბრი; 3. არველაძე; 4. პოშეტი; 7. უნაბი; 9. დირსი; 12. სტრასბურგი; 14. ანთელი; 15. თუშმალი; 17. ბურვალი; 20. ჯილდა.

თარაზულად: 5. ბაჰრეინი; 6. ოტრანტო; 8. ფარვანა; 10. საბოტაჟი; 11. კიუსიუ; 13. ფრეგატი; 16. ჰიდრანტი; 18. ფუქსი; 19. ფშავი; 21. ნიბლია; 22. ალავერდი; 23. ენოლოგი.

ასტროპროგნოზი

16 ოქტომბერი

ვერძი – დღეს საკუთარ ინტელექტუალურ მონაცემებს მაქსიმალურად გამოავლენთ. თქვენი გონებამახვილობითა და მჭევრმეტყველებით გარშემომყოფებს გააოცებთ. **კურო** – წარმატებას მიაღწევთ ნებისმიერ შემთხვევაში. ამაში თქვენი ჭკუა და პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნერვებს არ აჰყვეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. კარგი იქნება, თუ წყლის პროცედურებს ჩაიტარებთ. **კირჩხიბი** – გსურთ, ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანოთ, ოღონდ არ აჩქარდეთ. მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. **ლომი** – დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **ქალწული** – თქვენთვის დამახასიათებელი პირდაპირობის გამო, შესაძლოა, გარშემომყოფებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. გრძელვადიანი გეგმებისთვის შეუფერებელი პერიოდია. **სასწორი** – ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის წყალობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. გარისკვა რეკომენდებულია. **ღრიანკალი** – საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მშვიდი და გულითადი საუბრის შედეგად მოხერხდება. **მშვილდოსანი** – იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **თხის რქა** – საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. **მერწყული** – დღეს ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **თევზები** – ემოციურად დაძაბული დღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები ყურად იღეთ.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ლიკა ქავჟარაძე ვაკის სასაფლაოზე დედის გვერდით დაკრძალეს

მსახიობი ლიკა ქავჟარაძე ვაკის სასაფლაოზე დედის გვერდით დაკრძალეს.

მსახიობი უკანასკნელ გზაზე ვაკის სამების ტაძრიდან გააცილეს. სამოქალაქო პანაშვიდზე უამრავი რიგითი მოქალაქე მივიდა. მათთან ერთად ულამაზეს მსახიობს გამოეთხოვნენ მისი კოლეგები, მეგობრები, ოჯახის წევრები, პოლიტიკოსები. ლიკა ქავჟარაძე უკანასკნელ გზაზე გააცილა ბიძინა ივანიშვილმაც. ის ვაკის სამების ეკლესიაში მეუღლესთან ერთად მივიდა.

მსახიობი ტაძრიდან ტაშის თანხლებით გამოაცილეს. უკანასკნელ გზაზე მარიტა მისმა შეთემ და გედიამ – ზაზა კოლელიშვილმა და სოსო ჯაჭვლიანმა ატარეს.

ნატო მურვანიძე, მსახიობი:

– იყვნენ, არიან და იქნებიან ლამაზი ადამიანები, მაგრამ სილამაზის მიღმა რომ არის, აუხსნელი, რაღაც სხივი, უსქესო, სუფთა, რომ გამუნჯებს და სახელსაც რომ ვერ არქმევ, ასეთი ადამიანები ერთეულები იყვნენ. ლიკა სწორედ ასეთია. აუხსნელი. ფეისბუკი, რომელიც გადატენილია ჭრელი, უაზრო, ხანაც აზრიანი, გახარებული, ან გაბრაზებული, ცინიკური, თუ თანაგრძნობით სავსე პოსტებით უცებ გალამაზდა, დამშვიდდა, გაიწმინდა და ამაღლდა. საოცრება მოხდა. სიკვდილით სილამაზემ დაისადგურა ამ იდიოტურ სივრცეში, ბედნიერების მომტანმა სილამაზემ. რა არის ეს? რა ჯადოსნური ძალა აქვს მშვენიერებას, ყველაზე მწარე წუთებშიც კი.

კატო ჯავახიშვილი, მწერალი:

– ყველაზე ლამაზი და ყველაზე უიღბლო ქალი, რომელიც ჯერ დედოფლად აქციეს და მერე ზურგი აქციეს, წავიდა. არ დაუჯეროთ ტაშს, ადამიანებო... საკუთარი თავი რომ ძნელი სატარებელია, ის ამბავია ეს. პეპელაა ეს გოგო. ფრთებდამწვარი, უსიხარულო პეპელა...

თემურ შაშიაშვილი, პოლიტიკოსი:

– ლიკა ქავჟარაძე ზეცის ბინადარი გახდა. სილამაზის ეტალონი... ეპოქის სახე... ამ ქვეყნიდან წასვლითაც ეპოქას სახელი დაარქვა: სიყვარულზე სიძულვილის აღზევების. სწორედ ეს არის ეს ეპოქა ყოველი ზნეობრივი ადამიანისთვის... ამ ეპოქას შექსპირის 66-ე სონეტი ჰქვია... „შეყინულღიმილიანთა“ ეპოქა, როგორც ზუსტად შეაფასა გურამ დოჩანაშვილმა. დღევანდელ საქართველოში ყოველ ზნეობრივ ადამიანს უჭირს მორალურად. მათ უმეტესობას გაუსაძლისი ყოფითი პრობლემებიც აქვს... რთული დროა, რთული... სიკეთე გათითოკაცებულია, ბოროტება კი ერთ მუშტადაა შეკრული... ყველაფერი ამქვეყნად ღვთის ნებით ხდება და უფალმა ყველასთვის ერთნაირად საყვარელი და მომხიბვლელი ლეონიძის მარიტას ამქვეყნიდან წაყვანით იქნებ დიდი ნიშანი მოგვცა, ზნეობრივ ზარს შემოჰკრა... მოაზროვნე ადამიანისთვის დიდ ზარს... მთავარია, ვინ შევძლებთ მისი ხმის გაგონებას გულსა და ცნობიერებაში... რაც მეტი, მით უკეთესი ქვეყნისა და ყოველი ჩვენგანისთვის!

მე ადამიანურად დამანგრია ამ ფაქტმა და პირველი გენიალური ფილმი „ნატვრის ხე“ და მაშინვე გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ გამახსენა:

„დომენიკო, იცი, ადამიანები გაუცხოვდნენ, მზერაც რაღაცნაირად ცივი და დამცინავი გაუხდათ. მათი სახეები „შეყინულღიმილიანდა“, გაიცრიცა, სიყალბე შეერია. თვალებისაც უნდა მეშინოდეს, დომენიკო? ადამიანის უნდა მეშინოდეს? არ შეიძლება, ყველანი კარგები ვიყოთ? არ შეიძლება, მხოლოდ სიკეთე ვაკეთოთ და ერთმანეთი გავაბედნიეროთ? დომენიკო, არშეიძლება?“

ეჭვიც არ მეპარება შეიძლება, შეიძლება. იქნებ მარიტა კიდევ ერთი ნიშანია ამის უფლისგან მოცემული ღვთისმშობლის ქვეყნისთვის მოცემული...

კახი კავსაძე, მსახიობი:

– ამ ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ მთელი საქართველო ტირის. მეც მეტირება. მარტო გარეგნულად კი არა, სულიერად ლამაზი ადამიანი დააკლდა საქართველოს. ნიჭიერი და ლამაზი ქართველი ქალი წავიდა. რატომ წავიდა, ყოფილიყო, დაშავდებოდა რამე? ძალიან დიდი დანაკლისია ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის.

თამაზ ჭეიშვილი, მწერალი:

– რას იფიქრებდა იმ დროს ზაზა კოლელიშვილი, როცა მარიტას ქმრის როლს ასრულებდა, გაირბენდა დრო, წუთებივით ჩაიქროლებდნენ წლები და ბედი სწორედ მას არგუნებდა მარიტას კუბოს აწევას! ნუთუ ამას იმსახურებდა გედია, მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი, სუფთა და თავანკარა წყარსავით წკრიალა სიყვარულის სანაცვლოდ, მარიტას ცხედრის გამოსვენება მოუწევდა მისი „საძულველი მეტოქის“ მხარდამხარ! მისტიკაა, მაშ რა არის? ვერაგია წუთის სოფელი... ვერაგი...

გენიოსები იყვნენ ბუმბერაზი ლათინები, ორ სიტყვაში ჩააქსოვეს ცხოვრების მთელი ფილოსოფია და ანდერძივით დაუტოვეს კაცობრიობას: მემენტო მორი! „გახსოვდეს სიკვდილი!“ აი, ეს დევს ზუსტად ქრისტიანული მართლმადიდებლობის წიაღში „გიყვარდეს მოყვასი შენი“, რამეთუ „წამია წუთის სოფელი...

ანრი ჯოხაძე, მომღერალი:

– სილამაზე გარდაიცვალა ...

სოფო ნიჟარაძე, მომღერალი:

– საოცარი სილამაზე! ყველა დროის ყველაზე ლამაზი ქართველი ქალი! გული ჩამწყდა!

ნინი ბადურაშვილი, მომღერალი:

– ყველა დროის ყველაზე ლამაზი ქართველი ქალი... ღმერთმა ნათელში



ამყოფოს მისი სული!

ნათია ფანჯიკიძე, ფსიქოლოგი:

– იმდენად გამორჩეული იყო, იმდენად სინათლის მფრქვეველი, ყველას შეყვარებული იყო, მთელი საქართველოსი, განურჩევლად ქალის თუ კაცის. ვერ ვიტყვით, რომ ვერ რეალიზდა, ხელოვანს ერთი საკუთრო როლი, ერთი შედევრი, ერთი სიმღერა, ერთი გენიალური ლექსი, ერთი ბრწყინვალე გაელვება სრულიად ჰყოფნის, რომ უკვდავი გახდეს და თავი დაიმკვიდროს საუკეთესოთა შორის და ლიკამ ეს შეძლო, მაგრამ მაყურებლისთვის სამწუხაროა, რომ ისე ჩაკვდა ქართული კინო, ბოლო ათეულ წლებში, მის და არა მარტო მის პოტენციალს გასაქანი ვეღარ მიეცა. სამწუხაროა, როცა გამორჩეული ნიჭის ადამიანებს ქვეყნის ყირამალობის გამო საკუთარი პროფესიის შიმშილი აწუხებთ. ქალი ლაჟვარდოვანი ღიმილით...

ინგა გრიგოლია, ჟურნალისტი:

– გასულ კვირას მაია ასათიანთან, „პროფილის“ ჩაწერაზე ვნახე ლიკა ქავჟარაძე. ცოტა წავიჭორავეთ საგრიმიოროში. რა ლამაზი ხარ-მეთქი და შემედავა, წონაზე მელაპარაკებოდა, ნახე, როგორ გავსუქდიო. ძალიან დარდიანი და დეპრესიული მომეჩვენა.

ირაკლი კაკაბაძე, მწერალი:

– ლიკა ქავჟარაძე და მისი მარიტა მთელი საქართველოს სიმბოლოა. ულამაზესი, უსათოესი, საოცრად მგრძნობიარე – უმშვენიერესი – და ამავე დროს უსამართლოდ მიტოვებული, დავიწყებული და შურით ჩაქოლილი. დღეს ჩვენ ყველანი ვტირით და მივტირით ჩვენს მარიტას – ჩვენგან არდაფასებულს, არდანახულს. ამით ჩვენ აგრეთვე მთელი საქართველოს ბედს მივტირით.

კოკო გამსახურდია, ისტორიკოსი:

– ლიკა ქავჟარაძის ამქვეყნიდან წასვლის ამბავი რომ გავიგე, მაშინვე გამახსენდა ბავშვობა, როდესაც ის პირველად მოიყვანეს „კოლხურ კოშკში“ – ის ხომ ფალავანდიშვილების მხრიდან ჩვენი ახლო ნათესავი იყო. მაშინ ყველანი ცოცხლები იყვნენ, ანუ ისინი, ვინც ცხოვრება დააფუძნეს იმ სახლში: დაახლოებით ეს პერიოდი იყო, ბაღში ფუტკრები, დახუნძლული ხეხილი და მახსოვს, ბებია მირანდა გვიკითხავდა იტალიურ საბავშვო ნოველებს.

ლიკა ჩემზე ცოტა უფროსი იყო და ასეთად დარჩა ჩემს აღქმაში, არამიწიერი ფერები და იერი. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მერეც ბევრჯერ მინახავს და შევხვედრივართ. ალბათ დაახლოებით ასეთია დედამიწა თავის ქალწულებრივ თაურფენომენში და ასეთია ზეცა, როდესაც დედამიწას თავის თავს სრულად მისცემს, როგორც შემოქმედი.

ყვებიან, როდესაც ნატო ვაჩნაძეს მოასვენებდნენ თბილისის ქუჩებში, ვიღაცამ იკითხა, ვის კრძალავენო. სილამაზესო, უპასუხეს. იგივე ახლაც გვეთქმის. ნეტავ საიდან მოდის სილამაზე და საით მიდისო, იკითხა პოეტმა მარიტას ხვედრზე ფიქრისას. აქ ალბათ უპრიანია, ადამიანის სული გავიხსენოთ: როგორც თვით ადამიანი სული იყო დაბადებამდე, სიკვდილის კარიჭის გავლით ისევ სულად იქცევა. სილამაზეც ეს სულია, ოღონდ „ასეთნაირად“ გამოხატული ნივთიერში.

ნანუკა ჟორჟოლიანი, ტელეწამყვანი:

– მგონი, ერთადერთი ქალი იყო, რომელზეც ყველა გემოვნების, ფერის, სქესის, ნამუსისა და მორალის მქონე ადამიანი ვთანხმდებოდით, რომ ლამაზი იყო. ჟურნალისტები სულ ვეფერებოდით და ძალიან ვუფრთხილდებოდით. ამიტომაც არ ვჯიჯგნეთ მისი ცხოვრება სხვებივით. გაუგებარია, როცა ვამბობთ, რომ მარიტასავით იცხოვრა ქალმა, რომელსაც, საბედნიეროდ, არცერთი ტალახი არ მოხვედრია რეალურ ცხოვრებაში. მარიტასავით კი არ იცხოვრა, მარიტამ შეცვალა მისი ცხოვრება იმდენად, რომ დაღმა განარიდა ის საზოგადოებას, აქტიურ ცხოვრებას. თუმცა ესეც არ ვიცით ბოლომდე. ჩვენ ხომ გვიყვარს მითების შექმნა. რეალობა თან წაიღო ისე, რომ ბოლომდე არავის გაანდო. არ უყვარდა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბარი და ჩვენც არ ვაძალებდით. მარიტა კი არა, ლიკა გარდაიცვალა, ქავჟარაძე. უბრალოდ, გარდაიცვალა, თორემ წლების შემდეგაც ასე დადებენ ჩვენი შვილიშვილები მის ფოტოს საკუთარ კედლებზე და იტყვიან, რომ ყველაზე ლამაზი ქალი იყო. ესაა უკვდავების ხიბლი.

კომპოზიტორი ანზორ თავბერიძე გარდაიცვალა

კომპოზიტორი, მუსიკოსი და ანსამბლ „ადილას“ დამაარსებელი ანზორ თავბერიძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია ოპერის მომღერალმა ალექსანდრე ხომერიკმა გაავრცელა:

– დიდი მწუხარებით ვაუწყებ ქართველ საზოგადოებას უნიჭიერესი მუსიკოსის, კომპოზიტორის ანზორ თავბერიძის გარდაცვალებას. იგი გახლდათ ბრწყინვალე ადამიანი, ფენომენალური ნიჭის მუსიკოსი, რომელსაც შეეძლო, ნებისმიერი ნაწარმოები განსაკუთრებული სილამაზით გაეშალა ოთხ ხმაში. ასეთი ადამიანების არსებობა იშვიათია. ანზორ თავბერიძემ შექმნა სამასამდე სიმღერა, რომელიც დიდი წარმატებით სრულდება საქართველოში. ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები „გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ“ უდიდესი ბრწყინვალებით შეასრულა ჩვენმა გამოჩენილმა მომღერალმა თემურ წიკლაურმა. ბატონი ანზორი გახლდათ შესანიშნავ ანსამბლ „ადილას“ დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ანსამბლი „ადილა“ 1973 წელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში აღიარებული კონკურსის „ახალგაზრდული ხმების“ პირველი ადგილის მფლობელი გახდა, სადაც მეც ვმონაწილეობდი. ბატონი ანზორი იყო ჩემი პირველი მასწავლებელი საესტრადო ჟანრში. განსაკუთრებით სამწუხაროა, როდესაც მასზე წარსულში ვლაპარაკობთ. ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი, უღალატო კაცი, მეუღლე, მამა, ბაბუა და შესანიშნავი მეგობარი. ჩემი მხრივ, უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ იმ დიდი სიკეთისთვის, რომელიც ანზორ თავბერიძემ ჩემი მუსიკალურად ჩამოყალიბებისთვის გააკეთა.

დავით გველესიანი პოლიტიკაში წავიდა

ანსამბლ „რუსთავის“ წევრი, მომღერალი დავით გველესიანი, პოლიტიკაში წავიდა.

ხელოვანი კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოძრაობის „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა“ წევრია და სიაში მეორე ნომრად არის წარდგენილი.

დავით გველესიანი:

– დიდი პატივია ჩემთვის ბატონი კონსტანტინეს არჩევანი... ალბათ ვერავინ დაგვადანაშაულებს იმაში, რომ საქართველო არ გვიყვარს და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება გვსურს... მართალი გითხრათ, არ მინდა და გულიც არ მიმიწევს პოლიტიკისკენ, მაგრამ გული მიმიწევს საქართველოს შვილისკენ. დაღუპვის გზაზე ვართ, ქართველებო...

ბიორკი თბილისში ორ კონცერტს გამართავს

მსოფლიოში ცნობილი ისლანდიელი მომღერალი ბიორკი თბილისში ორ კონცერტს გამართავს. მუსიკოსი საქართველოს შოუფესტივალის ფარგლებში ეწვევა.

თბილისის საკონცერტო დარბაზში კონცერტი 31 ოქტომბერს ჩატარდება და მასზე დასასწრები ბილეთის ფასი 50 ლარიდან 570 ლარამდე იქნება.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კი კონცერტი 3 ნოემბერს გაიმართება და ბილეთის ფასი 80 ლარიდან 750 ლარამდე იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 16 ოქტომბერი

06.00 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტრ ვეტრინე**" **10.00, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30, 03.10** დღის მხ/ფ "**ჩემი ოცნების ქალი**" (მ.როკი) **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 05.00** დოკ/ფ "გამოქვაბული" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.40** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.40** ეროვნული ლიგის მიმოხილვა. **00.00** მხ/ფ "**21**" (კ.პეისი)

06.30, 16.00 სერ. "**ბჟუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **5** სერ. **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **1** სერ. **22.00** ნიჭიერი **00.30** მხ/ფ "**გახსოვდეს**" **02.20** მხ/ფ "**წაშლილი**" **04.15** მხ/ფ "**ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქალი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიკას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** არჩევანი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-3**" **13.00** სერ. "**ძველები 10**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები**" **21.00** სერ. "**სპირალი 4**" **22.30** მხ/ფ "**ნიუ იორკის ბანდები**" **01.30** მხ/ფ "**სახელმწიფოს მტერი**" **03.50** მხ/ფ "**ცეცხლოვანი კედელი**" **05.50** მხ/ფ "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40** ტელემარკეტი **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 19.00, 23.40, 04.40**ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნეს-კიდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური აბბავი**" **23.00** პანორამა **00.00** სერ. "**შაკი სია**" **3.40** ცენზურის გარეშე

7.55 ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების ბზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები: დ. ტრაპაიძე, ი. გრიგოლია, ვ. სანაია **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.00, 4.00**მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** ღალატი

06.15 ღვთის სახლი "წმინდა გიორგის მოღნისის ტაძარი" **06.50** პატერიკი-"მოწყალე მღვდლის შესახებ" **06.55** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური "ოქონის ვედრების სილოს ძვლის ხატი" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ინდოეთის ლომების კვალდაკვალ" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვეშანი დარჩებიან "წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი" **10.40** დეკორატიული ფლორა "ურთხმელი" **10.50** საქართველოს დაცული ტერიტორიები "კოლხეთის ეროვნული პარკი" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**მოგზაური**" I, II; **13.35** ან/ფ "ქალთევზა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-პუერტორიკო" **15.50** სპექტაკლი "დარაბებს მიღმა გაზაფხულია" **17.10** კონცერტი **18.10** მოკ. მხ/ფ "**უსხო ფრინველი**" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** კარაბადინი "ნარკომანია" **20.00** საქართველო ევროპულ ოჯახში-"გარემოს დაცვა" **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-"სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ" **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** შარავანდედი-"ვახტანგ გორგასალი, ილია II" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ესაია" VII ნან. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ხვარამზე" **23.45** დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ეპოქა და ადამიანები "ამბროსი ხელაია" **01.30** კონცერტი "ადრიანო ჩელენტანო"

10.00 - 23.00 მთავარი თუმა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება საagენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.4808	ევრო — 2.9326
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2975	100 რუსული რუბლი — 4.3011

ამინდის პროგნოზი 16 ოქტომბრისთვის

3 ოქტომბრიდან



იორამ ჩადუნელი
საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ჰარვი ვაინშტეინს ცოლი შორდება

ამერიკელ პროდიუსერს ჰარვი ვაინშტეინს, რომელსაც სექსუალურ ზეწოლას სდებენ ბრალად, მეუღლე, მოდელიერი ჯორჯინა ჩაპმანი შორდება. ამის თაობაზე ინფორმაცია ერთ-ერთმა გამოცემამ თავად ჩაპმანზე დაყრდნობით გაავრცელა.

– გული მაქვს გატეხილი ყველა იმ ქალის გამო, რომლებიც იმ უდიდესი ტკივილისგან იტანჯებოდნენ, ყველა იმ უპატიებელი საქციელის გამო. გადავწყვიტე, ქმარს დავშორდე. ჩემთვის პრიორიტეტული ჩემი შვილების მოვლა იქნება და მასმედიას ვთხოვ, რომ სიფრთხილე გამოიჩინოს ჩემს ოჯახთან მიმართებით, – განაცხადა მოდელიერმა.

ვაინშტეინი და ჩაპმანი 2007 წელს დაქორწინდნენ. მათ ორი შვილი ჰყავთ, შვიდი და ოთხი წლის.

მანამდე მსახიობებმა გვინეტ პელტროუმ და ანჯელინა ჯოლიმ ვაინშტეინის მხრიდან მათზე განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრეს.

კეიტ მიდლტონი დაფეხმძიმების შემდეგ საზოგადოებაში პირველად გამოჩნდა

კეიტ მიდლტონი საზოგადოებაში პირველად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მისი ფეხმძიმედ ყოფნის თაობაზე ოფიციალური განცხადება გაკეთდა.

კემბრიჯის ჰერცოგინია თავის მეუღლე პრინც უილიამთან და მის ძმა პრინც ჰარისთან ერთად დაესწრო მიღებას ბუკინჰემის სასახლეში, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით იყო ორგანიზებული.

შეგახსენებთ, რომ კემბრიჯის ჰერცოგინია მესამე ბავშვზეა ფეხმძიმედ. ამის თაობაზე განცხადება მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში გაკეთდა, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ მას სულის ხუთვა აწუხებს და საზოგადოებაში გამოჩენას ვერ ახერხებს.

მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების საშუალო ასაკი დასახელდა

იმ ქალების საშუალო ასაკი, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების სიაში შედიან, 40 წელს მჭიდროდ მიუახლოვდა.

როგორც ბოსტონის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მკვლევრებმა გამოარკვიეს, ამჟამად ის 38 წელს შეადგენს. მეცნიერებმა მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების სია შეადარეს, რომელსაც ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალი ყოველ წელს აქვეყნებს, 1990 წლიდან 2017 წლის ჩათვლით. თუ სამი ათეული წლის წინ მათი საშუალო ასაკი 33,2 წელს შეადგენდა, ამჟამად ის 38,9 წელია. ეს იმის წყალობით მოხდა, რომ რეიტინგში შედიან მსახიობები შერონ სტოუნი (59 წელი), მიშელ პფაიფერი (59 წელი), ჯულია რობერტსი (49 წელი). ისინი სიაში 1990 წელსაც შედიოდნენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების სიაში სულ უფრო მეტი მუქკანიანი ლამაზმანი ხვდება. თუ 1990 წელს სიაში 88 პროცენტს თეთრკანიანი ქალები შეადგენდნენ, ახლა ეს ციფრი 70 პროცენტამდე შემცირდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

სილამაზის სალონში სტილისტი გოგონა მამაკაცს თმებს სჭრის და ეკითხება:

– სიდედრი გყავთ?

– კი, მყავს.

მცირე ხნის შემდეგ ისევ ეკითხება:

– სიდედრი გყავთ?

– კი, მყავს.

მცირე პაუზის შემდეგ კითხვას უმეორებს:

– სიდედრი გყავთ?

– რას გადამეკიდეთ? რატომ მიმეორებთ ერთსა და იმავე კითხვას?

– ასე უფრო მიადვილდება თმების შეჭრა.

– ეგ როგორ?

– სიდედრზე როგორც კი გეკითხებით, თმები ყალყზე გიდგებათ!

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, შეცდომები მოგდით?

– დიახ, მოგვდის.

– და მერე როგორ ასწორებთ შეცდომას?

– მიწაში ვმარხავთ!

●●●

ნერვებმოშლილი მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– მეასედ გიმეორებთ, რომ ნახევარი არ შეიძლება იყოს არც მეტი და არც ნაკლები! მაგრამ კლასის ნახევარზე მეტს ეს არ ესმის!

●●●

ნაცნობი მამაკაცს ეკითხება:

– რატომ ხარ მოწყენილი?

– შვილი შემეძინა.

– კი მაგრამ, ეგ ხომ სასიხარულო ამბავია!

– !!!

– და რა დაარქვით?

– ლუდოვიკო.

– რატომ ლუდოვიკო?

– მეთოთხმეტეა!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– საშინელი სიბერე გველის!

– რატომ?

– რატომ და გველოდება მწველელი ბებიების თაობა, რომელსაც არ ეცოდინება ნამცხვრების გამოცხობა... ექნება პირსინგი და სვირინგი უკანალზე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

5 ოქტომბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ოქტომბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

შერმადინი და შენგელია თავიანთ გუნდებში საუკეთესო იყვნენ

ქართველი კალათბურთელები ევროლიგას დაუბრუნდნენ და საკმაოდ წარმატებითაც. ორივე კალათბურთელი, გიორგი შერმადინიც და თორნიკე შენგელიაც ამ ტურნირზე ესპანური კლუბებიდან ასპარეზობენ და თავიანთ გუნდებში საუკეთესო იყვნენ.

შერმადინს სულ რაღაც 15 წუთი დასჭირდა საიმისოდ, გუნდის ბომბარდირი გამხდარიყო, მისმა უნიკახამ კი ევროლიგის გასული სეზონის ჩემპიონი, სტამბოლის ფენერბახჩე დაამარცხა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრი მასპინძელთა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 12 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 8-დან 5 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო და უნიკახას რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო. უნიკახელთაგან გიორგის მეტს არავის მიუღწევია 10-ქულიან ზღვრამდე.

უნიკახა მორიგ მატჩს შერმადინის ყოფილ კლუბ ოლიმპიაკოსთან გამართავს.

თორნიკე შენგელიამ ევროლიგა შედეგიანად კი გახსნა, თუმცა მისი მონაგარი ბასკონიასთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ბასკური გუნდის ქართველ კაპიტანს თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და შენგელიას გუნდი პირეოსში ოლიმპიაკოსთან 64:75 დამარცხდა.

თორნიკე სასტარტო ხუთეულში იყო და 30 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში), 4 პასი და 1 დაფარება მიითვალა. შენგელიამ 10-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

ევროლიგის მეორე ტურში ბასკონია თელ ავივის მაკაბის უმასპინძლებს.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. ზღვის მტაცებელი თევზი; 6. მევალე, ფულის გამცემი; 9. ზღვის სარეწაო თევზი; 10. ქაღალდის ფულის გამოშვება; 11. ალკოჰოლური სასმელი; 13. ვარდის „მცველი“; 15. ქალაქი არგენტინაში; 18. ვერცხლის ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 21. სევდიანობა, უიმედობა; 22. კანის გაწითლება სისხლის მოწოლის შედეგად; 23. დიდი ინგლისელი ფიზიკოსი.

შვეულად: 1. მდინარე აფრიკაში; 2. ... დიტრიხი; 3. მოჭადრაკეთა შეფასების სისტემა; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. მისტერიების გამგებელი ქურუმი ძველ საბერძნეთში; 8. საზაფხულო კაბა; 12. ქირურგიული დანა; 14. ორგანიზაციის მმართველი; 16. ქალაქი კანადაში; 17. ტეხილი ხაზი; 19. განსჯის პროდუქტი; 20. თურქი მწერალი და ჟურნალისტი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ